გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 85
(11 542)
30 ოქტომბერი – 1 ნოემბერი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## ნელ-ნელა ძალას იკრებს ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში. შაბათ-კვირას მეორე და მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა.

*27 ოქტომბერი. II ტური*
***დინამო (თბილისი) — ქუთაისი*** 94:76 (16:27, 27:15, 30:12, 21:22);
***მაკაბი-ბრინფორდი — აზოტი*** 74:64 (14:21, 20:16, 21:10, 19:17);
***სტუ — ჯეოხელი-სხუ*** 109:62 (32:13, 24:11, 23:21, 30:17).

*28 ოქტომბერი. III ტური*
***შევარდენი — აზოტი*** 64:72 (16:13, 13:22, 15:19, 20:18);
***დინამო (თბ) — მაკაბი-ბრინფორდი*** 102:80 (26:22, 20:22, 30:12, 26:24);
***სტუ — ჯეოხელი-თსუ*** 89:67 (22:13, 24:24, 25:15, 18:15).

## ხარჯები ისრაელის ფედერაციამ გაიღო



იუნიორ მოფარიკავეთა „ა" კატეგორიის ტურნირი, წლეულს, ისრაელის ქალაქ აკოში გაიმართა. ეს ასპარეზობა მსოფლიო თასის ეტაპია და მასში მუდამ უძლიერესები მონაწილეობენ. საქართველოს წარმომადგენლები ისრაელებმა, როგორც ასპარეზობის ორგანიზატორებმა, თავის ხარჯზე მიიწვიეს. ბათუმელმა ირაკლი ჭელიძემ (მწვრთნელი პაატა ხურციძე) 8 უძლიერესში შესასვლელი ბოლო ბრძოლა წააგო მსოფლიოს თასის ხუთგზის გამარჯვებულთან, გერმანელ მუშკეტერთან და ჩვენი მოფარიკავე საბოლოოდ მე-9 ადგილს დასჯერდა. ამ ასპარეზობაზე მსაჯად მიწვეული იყო დავით სახვაძე.



ჰამბურგი — ჰანზა



სელტა — ვალიადოლიდი

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

## ინგლისის მსაჯთა კორპუსში რეპრესიები დაიწყო

ინგლისელი არბიტრი დერმოტ გალემერი პრემიერ-ლიგის მატჩების მსაჯობიდან გაურკვეველი ვადით მოკვეთეს, მას შემდეგ, რაც გასულ შაბათს, სწორად ვერ გაერკვა ბექჰემისა და კინის კონფლიქტში „მანჩესტერ იუნაიტედ" – „ლიდსის" პრემიერ-ლიგის მატჩში. ბექჰემი კინთან ორთაბრძოლაში დაჯარიმდა, კინმა უხეშობისთვის სამაგიერო დაუბრუნა მეტოქეს და სახეში გაარტყა.

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის აზრით, მსაჯს მოედნიდან უნდა გაეძევებინა კინი, მაგრამ გელეგერი დასჯერდა იმას, რომ ორივე ფეხბურთელს ყვითელი ბარათი აჩვენა.

ასეთივე ლიბერალობისთვის, პრემიერ-ლიგის მატჩების მსაჯობის უფლება ჩამოერთვა კიდევ ერთ მსაჯს – პოლ დარკინს, რომელმაც ერთი კვირის წინათ, მინდვრიდან არ გააძევა „ჩელსის" მცველი ლი სო.

## ჩემპიონთა ლიგის მატჩებს მოემსახურებიან:

ჩემპიონთა ლიგის I ეტაპის, ბოლო, მე-6 ტურის მატჩებს იმსაჯებენ:
რომა — ანდერლეხტი: ერიკ პოლო (საფრანგეთი)
ლოკომოტივი — რეალი: მაიკლ რაილი (ინგლისი)
ლივერპული — ბორუსია: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)
დინამო (კიევი) — ბოავიშტა: ფრიც შუკლიკი (ავსტრია)
მალიორკა — პანათინაიკოსი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)
შალკე-04 — არსენალი: რიჩარდ ვოიციკი (პოლონეთი)
ნანტი — ლაციო: ტერე ხაუგე (ნორვეგია)
გალათასარაი — პსვ ეინდჰოვენი: ლიუბოშ მიხელი (სლოვაკეთი).

## პატარა საჰაერო ბუშტები 5000 მეტრ სიმაღლეზე

ინგ·· ·სის საგრაფოს ხერტფორდშირის მცხოვრებმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა საჰაერო ბუშტებით ფრენაში. ეს არის იენ ეშპოული, რომელიც წარმოუდგენელ საჰაერო სიმაღლეს მისწვდა — 5000 მეტრ სიმაღლეზე აფრინდა. 600 საჰაერო ბუშტს იგი მიბმული იყო ღვედებით. რეკორდი დამყარდა ჩრდილოეთ ლონდონში საპარაშუტო ცე·ტრში. მიაღწია, რა 5 ათას მეტრ სიმაღლეს, ეშპოულმა გადაჭრა ღვედები, მოშორდა ბუშტებს და დედამიწაზე დაეშვა პარაშუტით. ადრინდელი რეკორდიც მას ეკუთვნოდა — ამ უჩვეულო დისციპლინაში 1966 წელს, ეშპოულმა მხოლოდ 3 კილომეტრ სიმაღლეს მიაღწია.



„ასეთი ბუშტებით ფრენა უდიდესი სიამოვნებაა. მსგავს რამეებს ხშირად აკეთებენ მულტფილმების გმირები, მე კი ბავშვობიდან მსურდა მათთვის მიმებაძა" — უთხრა რეკორდსმენმა ბბს-ის კორესპონდენტს.

ალსანიშნავია, რომ პირველი 600 მეტრი ეშპოულმა ჩვეულებრივი, ცხელი ჰაერით გაბერილი დიდი ბურთით დაძლია, შემდეგ კი პატარა ბუშტებით სხმულით გაუტია ზეცისკენ.

## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები... 6



მილანი — ბოლონია

## გარდაიცვალა ფეხბურთის წესების რეფორმატორი 7



## სპორტული „თბილისობა" 2

## პრეზიდენტის თასს პირველი მფლობელი ჰყავს — თბილისის 116-ე საშუალო სკოლის გუნდი 4



2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN



## ისრაელი — ავსტრია 5

*ავსტრიელები პლეიოფში გასვლას ზეიმობენ*

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მოსავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 9 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 104 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!**

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის

# დადგენილება

### ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების მოწყობის შესახებ

საქართველო
GEORGIA

სეოკ-ის აღმასკომი ადგენს:

1. ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეებისათვის (2003 წ., პარიზი, საფრანგეთი) ქართველ სპორტსმენთა უკეთ მომზადების, საქართველოს ნაკრებ გუნდში ჩასარიცხავად კონკურენციის ამაღლების და სპორტში ტალანტთა გამოვლენის მიზნით, 2002 წლის ოქტომბერში ქ. თბილისში ჩატარდეს სრულიად საქართველოს პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები.
2. დამტკიცდეს პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის შემდეგი შემადგენლობა.
საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში დამატებით შეყვანილ იქნან შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებული სპორტის სახეობების ფედერაციების თითო წარმომადგენელი.
3. ოლიმპიური დღეების მთავარ მსაჯად დამტკიცდეს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან ქ-ნი მზია ჯუღელი.
4. დამტკიცდეს ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების სპორტის სახეობები, რომელიც ძირითადად შეესაბამება ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების პროგრამას:
– მძლეოსნობა, ცურვა, ძიუდო, მაგიდის ჩოგბურთი, სპორტული ტანვარჯიში (გოგონები), ჩოგბურთი. მიზანშეწონილად ჩაითვალოს პროგრამაში ქართული ჭიდაობის ჩართვა.

## რუსეთის ეოკ-ი იუგოსლავიის ვალებს დაეპატრონა

როგორც „ლელოს" წინა ნომერში გაუწყეთ, რუსეთისა და იუგოსლავიის ეოკებს შორის დაიდო ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება. ალბათ ინტერესების გაერთიანების გამოძახილია ის, რომ რუსეთის ეოკ-მა გადაიბარა იუგოსლავიის ვალები „გაზპრომის" მიმართ, რაც 300 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. „რუსეთის ეოკ-მა მიიღო უფლება განკარგოს იუგოსლავიის ის სახელმწიფო ვალი, რომლის „გაზპრომს" ერგება მოხმარებული რუსული აირისთვის. ამ თანხის სანაცვლოდ იუგოსლავიას შეუძლია რუსეთში გააშენოს რამდენიმე სპორტული ცენტრი" – ამბობს რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტი ლეონიდ ტიაგაჩევი, რომელიც იუგოსლავიაში იმყოფება და ამ საკითხს სამთავრობო დონეზე აგვარებს. მოკლედ, ორი ქვეყნის ეოკ-ებს შორის დადებული ხელშეკრულებით, ირიბად, ჯერჯერობით შესანიშნავად სარგებლობს რუსეთის მხარე.

## რუსეთის ყველაზე გრანდიოზული ჭიდაობის სასახლე დაღესტანში აიგება

დაღესტანში შეუდგნენ თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ტურნირებისათვის რუსეთში ყველაზე გრანდიოზული სპორტის სასახლის მშენებლობას. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს ჩაატაროს დაღესტანში მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ამ განზრახვის სერიოზულობაზე უპირველესად ის მეტყველებს, რომ სასახლის მშენებლობა მთლიანად ბიუჯეტიდან დაფინანსდება. მუშავდება მეორე მასშტაბური პროექტი. ეს იქნება თანამედროვე სპორტული კომპლექსი, რომელიც აღიმართება მაჰაჭყალასა და კასპიისკს შორის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ორ ქალაქს ერთმანეთისგან 18 კმ აშორებს, ცხადი გახდება კომპლექსის გრანდიოზულობა. აქ გაშენდება რამდენიმე საფეხბურთო მინდორი, საცურაო აუზები, სპორტული და გამაჯანსაღებელი კერები ტრენაჟორებით, სასტუმროები და გასართობი ცენტრები. ეს პროექტიც ბიუჯეტის ხარჯზე განხორციელდება.



## მონდომების შესაშური „თბილისობა"







**ხალისისა** რა მოგახსენოთ, მაგრამ წლევანდელი თბილისობა, ქალაქის დამშვენება-შენაძენით რომ გამორჩეული იყო, უდავოა. დედაქალაქს ნამდვილად ჰყავს ენერგიული, ჭეშმარიტი პატრიოტი ხელმძღვანელი – ვანო ზოდელავა და ამის დაუნახაობა, სხვა რომ არ ვთქვათ, უმადურობა იქნებოდა. თბილის-ქალაქობამ წლეულს ახალი სპორტული ობიექტებიც შეგვძინა, ზოგიერთს ახალი სიცოცხლე დაუბრუნდა და თბილისობა უხვი სპორტული თუ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებითაც გალამაზდა, რაშიაც უდიდესია თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის (უფროსი დავით ჭელიძე) ღვაწლი.

ყველა ღონისძიების აღწერას ალბათ „ლელოს" მთელი ნომერიც ვერ დაიტევდა, ამიტომ შევეცდებით მოკლედ შევეხოთ მთავარს. ეპიცენტრი კი, როგორც ყოველთვის, რიყე გახლდათ, სადაც 27-28 ოქტომბერს არაერთი ლამაზი სპორტული სანახაობა გაიმართა. ჯიქიას ქუჩაზე შედგა ახალი სპორტული კომპლექსის პრეზენტაცია, დიდ დიღომში გაიხსნა ესოდენ ნანატრი სარაგბო მოედანი, ქვეყნის ხელმძღვანელებმა მოინახულეს მშენებარე ობიექტები – თბილისის ზღვაზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, ლისის ტბაზე განხორციელებული სამუშაოები, რეკონსტრუირებული საციგურაო სკოლა და ა.შ.

სპორტული ღონისძიებებიდან ერთ-ერთი გამორჩეული იყო ფეხბურთში „საქართველოს პრეზიდენტის თასის" გათამაშება, რომლის შედეგებს დღევანდელ „ლელოს" ფეხბურთის გვერდში გაეცნობით. უაღრესად საინტერესო და მონაწილეთა თუ მაყურებელთა რაოდენობით ხალხმრავალი გამოდგა ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ტრადიციულად ჩატარდა რიყეზე. *აქვე გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს:* ***32 კგ:*** 1. გიორგი შირნიაშვილი, 2. ლევან ოთინაშვილი, 3. გიორგი მკლავიშვილი და ალექსანდრე სირაძე; ***35 კგ:*** 1. ილია ძიგურაშვილი, 2. ალეკო ბოლოთაშვილი, 3. ავთანდილ ზამთარაძე და ოთარ საყვარლიშვილი; ***38 კგ:*** 1. ნიკა ძაძამიშვილი, 2. გიორგი წამალაძე, 3. გიორგი მამნიაშვილი და დათო ქარჩავა; ***42 კგ:*** 1. ზურაბ ოდიშაშვილი, 2. ვალერი ლიპარტელიანი, 3. ბექა ორსაშვილი და ნიკა თედიაშვილი; ***46 კგ:*** 1. ლევან ქოჩიევი, 2. ბექა მიქაძე, 3. გიორგი ვარსემაშვილი და დათო ძიგურაშვილი; ***50 კგ:*** 1. ოთარ მაღალდაძე, 2. ვახტანგ სეთური, 3. დათო კოჭლამაზაშვილი და თორნიკე ქინქლაძე; ***55 კგ:*** 1. თენგიზ ნოზაძე, 2. ლევან იმერლიშვილი, 3. ზურაბ მეზურნიშვილი და ნუკრი ჩოჩიშვილი; ***60 კგ:*** 1. გიორგი მჭედლიშვილი, 2. გიორგი ჯავახია, 3. სერგო გაბრიჩიძე და გიორგი ლაშქარაშვილი; ***66 კგ:*** 1. ლევან ბერიაშვილი, 2. გაგა ჯახველაძე, 3. გიორგი ტეტელაშვილი და გიორგი კუთარაშვილი; ***73 კგ:*** 1. მურად გვიანაძე, 2. ზურაბ კაციაშვილი, 3. ხვიჩა ზაუტაშვილი და გოჩა ზაუტაშვილი.

მეტეხის კლდეზე მეკლდეურთა ასპარეზობაში თავი გამოიჩინეს თამარ დიდებულიძემ, ავთანდილ ქერასაშვილმა, გიორგი გაზდელიანმა, სოსო ნაცვლიშვილმა, ბაისო გუჯაბიძემ და დათო ონიანმა. ბევრმა სცადა მაჯის ძალა მკლავჭიდში, მათ შორის, თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ, საინტერესო სანახავი იყო მინიფეხბურთელთა, მოფარიკავეთა, აკრობატთა, ტანმოვარჯიშეთა, ძალოსანთა ასპარეზობები, სხვა შეჯიბრებები.





გვერდის ფოტოები მოამზადეს რობერტ ბაგოიანმა და ანზორ კოჭლამაზაშვილმა



გამარჯვებულებს და პრიზიორებს აჯილდოებდნენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, ქალაქის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის, თბილისის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი მუშაკები, ვეტერანი სპორტსმენები, მოსკოველი სტუმრები. გამარჯვებულთა და პრიზიორთათვის სამახსოვრო პრიზები და საჩუქრები მართლაც რომ უშურველად გაიცა, „თბილისობაში" მონაწილეობის სერთიფიკატი გადაეცა აბსოლუტურად ყველა მონაწილეს.

**„ლელოს" კორესპონდენტთა ბრიგადა**

## აკაკის ბაღში კი ქართული ჭიდაობის ჭეშმარიტი ზეიმი შედგა



მარცხნიდან: სიმონ მაისურაძე, ზეზვა ღულუნიშვილი, გიორგი ჩაჩანიძე

**რიყეზე** თუ ჩვენს ეროვნულ ჭიდაობაში ჭაბუკები და ახალგაზრდები სცდიდნენ ძალას და მოხერხებას, აკაკის ბაღში დიდუბის მეექვსე ტრადიციული ასპარეზობა გაიმართა, რომელიც ორგანიზატორებმა საგანგებოდ დაამთხვიეს „თბილისობას". აქ თავი მოიყარეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფალავნებმა სხვადასხვა კუთხიდან. მონაწილეთა სიმრავლემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დილით, 12 საათზე დაწყებული ასპარეზობა გვიანობამდე გაგრძელდა და მორკინალნი მხოლოდ „ბინდმა გაჰყარა". უკრავდა ტრადიციული დოლი და ზურნა, მაყურებლისთვის ფეხზე დასადგომი ადგილი რომ აღარ დარჩა, ბევრმა ხეებზე, მიმდებარე ნაგებობების სახურავზე მოიკალათა. ასპარეზობის ორგანიზატორები იყვნენ თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

შეჯიბრება ჩატარდა 5 წონით კატეგორიაში თბილისის, ყვარლის, კასპის, ვანის, საგარეჯოს, ახმეტისა და ყაზბეგის რაიონების რჩეულ ფალავანთა მონაწილეობით, რომელთა შორის იყვნენ ალექსი დავითაშვილი და ზვიად წიკლაური. გათამაშდა მრავალი პრიზი და ჯილდო.

*გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.* ***60 კგ:*** 1. დავით ქოთელაშვილი (თბ), 2. მამუკა მეზმიშვილი (ყვარელი), 3. ლევან ბენიშვილი (კასპი); ***70 კგ:*** 1. გოგიტა ბაინდურაშვილი (თბ), 2. იოსებ მამულაშვილი, 3. ალექსანდრე ჩახუნაშვილი (ორივე – კასპი); ***80 კგ:*** 1. არჩილ ჩოხელი (მცხეთა), 2. კახა ყორღანაშვილი (საგარეჯო), 3. ვასილ იოსებაშვილი (თბ); ***90 კგ:*** 1. დათო ტერტერაშვილი, 2. ზურაბ მუზაშვილი (ორივე – კასპი), 3. ზურაბ ალექსაშვილი (საგარეჯო); ***+90 კგ:*** 1. ალექსი დავითაშვილი (ახმეტა), 2. დიმიტრი ტურაშვილი (საგარეჯო), 3. ზვიად წიკლაური (ყაზბეგი).

ანზორ კიკნაძის სახელობის პრიზს დაეუფლა საქართველოს ორგზის ფალავანი ქართულ ჭიდაობაში, ახმეტელი ალექსი დავითაშვილი, ზაალ ჩიკვილაძის პრიზი მოიპოვა მცხეთელმა არჩილ ჩოხელმა, ვანო გამხიტაშვილის პრიზი წილად ხვდა კასპელ დავით ტერტერაშვილს.

ქართული ჭიდაობის საუკეთესო ფანდების ცოდნა-გამოვლენისთვის სპეციალური პრიზი გადაეცა თბილისელ გოგიტა ბაინდურაშვილს, ყველაზე ხანდაზმული მოჭიდავის პრიზი დაიმსახურა არჩილ ჩოხელმა.

მსაჯთა კორპუსიც სახელოვანი ვეტერანი ფალავნებით იყო დაკომპლექტებული. აი ისინიც: გმირო ხაჩიძე, სპარტაკ გიორგაძე, ოლეგ იაძე, ამირან ქელიხაშვილი, პავლე პავლიაშვილი, უშანგ და ოთარ ყურაშვილები, ელგუჯა მურადაშვილი. ასპარეზობას ესწრებოდნენ წარსულში ცნობილი ფალავნები სიმონ მაისურაძე, ძმები ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილები, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში გურამ სალარაძე და სხვ.

საპატიო სტუმართა შორის იყო სპორტის დიდი ქომაგი, პარლამენტარი ზეზვა ღულუნიშვილი.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ის დიდი ამაგი, რომელიც ამ მართლაც შესანიშნავად ორგანიზებულ ასპარეზობას დასდო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელმა გიორგი ჩაჩანიძემ. მისმა მონდომებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ თუ სხვა ხელმძღვანელებიც ასე მოინდომებენ, ქართული სპორტი მალე დაადგება აღმავლობის გზას. და ტრადიციებს არა თუ დავიბრუნებთ, გავაღრმავებთ კიდეც.

**ნუხა ბაბოშიძე,**
დიდუბე – ჩუღურეთის რაიონის სპორტის მთავარი სპეციალისტი,

**ომარ ჩხაიძე,**
ამავე რაიონის სპორტის წამყვანი სპეციალისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ველოსპორტი** **ომარ ფხაკაძის პრიზი**

# საერთაშორისო – ორი ქვეყნის მონაწილეობით

მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ველომრბოლის ხსოვნის პრიზი დასაბამიდან საერთაშორისო ასპარეზობა იყო, მაგრამ 90-იანი წლებიდან მისი ჩატარება შეწყდა. აღდგა შარშან და აი, წლეულსაც, ისევე, როგორც გასულ წელს, პრიზის გათამაშებაში მხოლოდ საქართველოს და სომხეთის მრბოლები ჩაებნენ. მთავარი პრიზის გათამაშების გარდა, რბოლები გაიმართა სხვადასხვა დისტანციაზე. 3 კმ-ზე გამოდევნებით რბოლაში პირველი იყო ლაგოდეხელი რამაზ მანაგაძე, მეორე და მესამე ადგილები სომხებს ხვდათ — შესაბამისად ტიგრან კორკოტიანს და არმან ავეტისიანს.

სპრინტში საჭიროა დიდი გამოცდილება, რაც ჩვენებს აშკარად აკლიათ. სომხები კი ხშირად გამოდიან საერთაშორისო შეჯიბრებებში, რამაც განაპირობა კიდეც მათი წარმატება. სპრინტში უძლიერესის სახელი მოიპოვა არმან ავეტისიანმა, რომელსაც გადაეცა მთავარი პრიზი და ოქროს მედალი (2,5 გრ ბაჯაღლო) ომარ ფხაკაძის გამოსახულებით. ვერცხლის მედალი ხვდა ასევე სომხეთის წარმომადგენელს ტიგრან კირაკოსიანს, ბრინჯაოსი — რამაზ მანაგაძეს.

ასპარეზობამ გამოავლინა პერსპექტიული ქართველი ახალგაზრდები სერგო მურჯიკნელი, ბაჩანა გიორგაძე, ლაშა ცეცხლაძე და გიორგი ნადირაძე, რომლებიც თუ ასპარეზობებში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცემათ, ღირსეულად გააგრძელებენ უფროსთა ტრადიციებს.

შეჯიბრების ორგანიზატორი იყო სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ომარ ფხაკაძის ოჯახი, სპონსორი — დიაგნოსტიკის ცენტრი (დირექტორი პაატა ცერცვაძე).

გამარჯვებულები და პრიზიორები დააჯილდოვეს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა, უმცროსმა ომარ ფხაკაძემ და ვეტერანმა სპორტსმენებმა.

**ავთანდილ გუნია**

**პარადოქსი...**

# ზოგს ფული თავზე საყრელი აქვს და მედლები ენატრებათ

## ქართველები უფულობით კარგავენ მედლებსაც და ქვეყნის პრესტიჟსაც

ევროპის გუნდური ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი და ორი ბრინჯაოს მფლობელი, საქართველოს ნაკრები ჭიდაობა სუმოში მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დარჩა. მიზეზი ჩვენი ფალავნების სისუსტე კი არა, ქართული სპორტისთვის, უკვე სამწუხაროდ, [illegible] სინამდვილეში ქვ-ეულ[illegible] უსახსრობაა, უფრო სწორად, უფულობაა. 3 ათასი აშშ დოლარი ვერსაიდან მოიძია და გუნდიც წლის უმნიშვნელოვანესი ასპარეზობის მიღმა დაგვირჩა. სუმოს მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის გაკვირვება და დიდი სინანული მომხდარის გამო ჩვენთვის ვერაფერი ნუგეშია. ზემოთ ნახსენები 3 ათასი დოლარი მხოლოდ მგზავრობის თანხაა, სასტუმროში განთავსებისა და კვების თანხებს იაპონური მხარე, ჩემპიონატის მასპინძელი გაიღებდა, დაიფარებოდა მგზავრობის ხარჯებიც. მაგრამ უკვე მერამდენედ სამწუხარო რეალობისა და გადაულახავი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით. დაიკარგა უმაღლესი ხარისხის მედლების მოპოვების კიდევ ერთი შანსი. ღარიბთან და უსუსურთან (არა სპორტული თვალსაზრისით), საქმის დაჭერა კი არავის სურს. უფულო ხალხი არავის სჭირდება, არც ჩინიანს, არც უჩინოს და მით უფრო ფულიან საზოგადოებას. გულგრილობისა და ბედოვლათობის მსხვერპლი კი ისევ ჩვენი სპორტია, რომელსაც ქვეყნის პრესტიჟის, ამაღლება-დაცვის ხელსაყრელი შესაძლებლობა უკვე მერამდენედ წაერთვა.

მსოფლიო ჩემპიონატი კი გუშინწინ დასრულდა იაპონიის ქალაქ აუმორში, სამწუხაროდ, უჩვენოდ.

**ბილიარდი** **ქალთა საქართველოს ჩემპიონატი**



ეს ასპარეზობა პირველად ჩატარდა „ამერიკულ პულში“. მონაწილეობდა 64 ქალი, რამაც დაადასტურა, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები, მამაკაცებზე ნაკლები ინტერესით როდი ეცნობიან სპორტის ამ პოპულარულ სახეობას.

ფინალი ღირსეული გამოდგა — ერთმანეთის პირისპირ დადგნენ გურანდა ნემსაძე და თამუნა კანკია. ოთხ მოგებამდე გამართულ ამ ასპარეზობაში 4:2 გაიმარჯვა თამუნა კანკიამ. ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ თიკო ჭიჭინაძეს და ვიტა სნეგირიოვას. ტურნირის მთავარი მსაჯი იყო ყოფილი ლელოელი — ირაკლი ბერიაშვილი.

გამარჯვებულებს და პრიზიორებს გადაეცათ ფირმა „გალუაზის“, კლუბ „იმპერიალისა“ და საქართველოს საბილიარდო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ დაწესებული პრიზები.

ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ალექსიძემ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში მადლობით მოიხსენია გაზეთები „ლელო“, „საქართველოს რესპუბლიკა“, სატელევიზიო გადაცემა „ალიონი“, რომლებიც თანმიმდევრულად ეწევიან საქართველოში საბილიარდო სპორტის პროპაგანდას, აგრეთვე ფირმა „გალუაზის“ და კლუბ „იმპერიალის“ თანადგომა.



*სურათებზე: ზევით — საქართველოს ჩემპიონი თამუნა კანკია; გამარჯვებულები და პრიზიორები (მარცხნიდან): ვიტა სნეგირიოვა, თიკო ჭიჭინაძე, თამუნა კანკია, გურანდა ნემსაძე.*

*რობერტ ბაგოიანის ფოტოები.*

# ცნობები ინტერნეტის სამყაროდან



**ფარიკაობა**

## მსოფლიო ჩემპიონატი

***რაპირა.*** საფრანგეთის ქალაქ ნიმში გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი ფარიკაობაში. გაიმართა ფინალური შეხვედრები რაპირასა (მამაკაცები) და ხმალში (ქალები). ***ვაჟები. ფინალი:*** სალვატორე სანცო (იტალია) — ლუის ატელი (საფრანგეთი) 15:14. ***ქალები. ხმალი. ფინალი:*** ილარია ბიანკო (იტალია) — ენ-ლუიზ ტოია (საფრანგეთი) 3:15.

*სურათზე: სალვატორე სანცო გამარჯვებას ზეიმობს*

## „ჯორდანის“ აპელაცია დაკმაყოფილდა



ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ დააკმაყოფილა „ჯორდანის“ საჩივარი მისი მრბოლის იარნო ტრულის დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით. საქმე იმაშია, რომ მანქანის მდგომარეობის შემოწმების ხელსაწყოს, რომელიც მრბოლს ბოლიდის ქვეშ ჰქონდა, არ გაუვლია ტექნიკური კონტროლი. სააპელაციო კომიტეტმა იმსჯელა ამ საკითხზე და კორექტივები შეიტანა ადრე მიღებულ გადაწყვეტილებაში — ტრულს 3 ქულა დაუბრუნდა. თავის მხრივ ცვლილებები მოხდა პილოტთა საბოლოო ცხრილში. 2001 წლის შედეგებით ტრული ახლა მე-7-9 ადგილებს იყოფს ვილნევთან და ხალედფელდთან ერთად. კონსტრუქტორთა შეჯიბრებაში კი „ჯორდანმა“ გადაუსწრო „ბარს“ და მეხუთე ადგილზეა.

## დორფმაისტერმა სეზონი გამარჯვებით დაიწყო

დაიწყო სამთომეთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშება, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმითაც იძენს, რომ მოახლოებულია 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები. პირველ ეტაპზე, რომელიც ავსტრიაში გაიმართა, წარმატება წილად ხვდა ტრასის მასპინძელს მიხაელა დორფმაისტერს, რომელმაც ორი ცდის ჯამში, გიგანტურ სლალომში, ტრასა 2.28,38 წ დაფარა. მეორე იყო შვეიცარიელი სონია ნეფი — 2.29,98, მესამე — ფრანგი რეჟინ კავენიუ — იგივე დრო.



*მიხაელა დორფმაისტერი*

საგულისხმოა, რომ მსოფლიო თასის მფლობელი საერთო ჩათვლაში, ხორვატი იანიცა კოსტელიჩი ტრავმირებულ მუხლზე ოპერაციის შემდეგ ვერ გამოჯანმრთელდა და თასის ახალი გათამაშების პირველი ეტაპი გამოტოვა.

## გრაფს და აგასს ვაჟი შეეძინათ



**მოხდა ისე, რომ ცნობილ ჩოგბურთელებს შტეფი გრაფს და ანდრე აგასს ნავარაუდევზე სამი კვირით ადრე შეეძინათ ვაჟიშვილი. პირმშოს წონა 2,6 კგ-ია, სიმაღლე 50 სმ. მეუღლის მშობიარობას დაესწრო აგასი.**

**შეგახსენებთ, რომ გრაფის და აგასის რომანი ამ ორი წლის წინათ დაიწყო, როცა ორივემ „როლან გაროსი“ მოიგო. ქორწინება კი ბავშვის დაბადებამდე რამდენიმე დღით ადრე შედგა.**

**შეგახსენებთ იმასაც, რომ გასული კვირის ბოლოს, ერთმა ამერიკელმა მილიონერმა ჯონ კორფმა, მშობლებს 10 მილიონი დოლარი შესთავაზა, თუ ისინი მისცემდნენ იმის გარანტიას, რომ შვილი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მოვლენილი ამქვეყნად, 2017 წლის ერთ-ერთ საჩოგბურთო ტურნირში ითამაშებდა.**

**თუ გრაფი და აგასი განქორწინდებიან, გრაფი სოლიდურ ქონებას მიიღებს, ამასთან, აგასი ვალდებული იქნება მონაწილეობა მიიღოს შვილის აღზრდაში.**

## კლეისტერსი — ლუქსემბურგის ტურნირის გამარჯვებული

ლუქსემბურგში დასრულდა მე-4 კატეგორიის საჩოგბურთო ტურნირი, საპრიზო ფონდით 170 000 დოლარი. ფინალში ბელგიელმა კიმ კლეისტერსმა სძლია ამერიკელ ლაიზა რეიმონდს — 6:2, 6:2.



*მანგუს გუსტაფსონი*

## მანგუსი გუსტაფსონი მიდის ჩოგბურთიდან

შვედმა ჩოგბურთელმა მანგუს გუსტაფსონმა სტოკჰოლმის ტურნირის მეორე წრის შემდეგ განაცხადა, რომ ამთავრებს თავის საჩოგბურთო კარიერას. 34 წლის ეს ჩოგბურთელი ახლა რეიტინგში 69-ე საფეხურზეა, თუმცა, იყო დრო, იგი მსოფლიო ჩოგბურთელთა უძლიერეს ათეულში შედიოდა. თავის კარიერაში მას ატრის 14 ტურნირი აქვს მოგებული.

## დოპინგის მიღებისთვის საკუთარმა კლუბმა დასაჯა

**მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ძალოსნობაში ბულგარელი იოტო იოტოვი, რომელიც გერმანიის კლუბ „ას მუტერშტადტში“ ასპარეზობს, საკუთარმა კლუბმა დასაჯა დოპინგის გამოყენებისთვის, რითაც მას უსარგებლოა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების თამაშებში.**

## ვიქტორ კუნიჩი დაიღუპა

**როგორც ვიუწყებოდით, საწყლოსნო „ფორმულა-1“-ში აბუ-დაბეში გამართულ ასპარეზობაში მძიმე ტრავმა მიიღო რუსეთელმა მრბოლმა, „ფორმულა-500“-ში და „ფორმულა-700“-ში მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორმა ვიქტორ კუნიჩმა. ექიმების მცდელობა შეენარჩუნებინათ მრბოლისთვის სიცოცხლე, ამაო გამოდგა — კომაში მყოფი კუნიჩი, გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.**

## „ქალბატონებმა“ მოუგეს ვეტერანებს

ამსტერდამში მიმდინარეობს საჭადრაკო ტურნირი „ქალბატონები ვეტერანების წინააღმდეგ“. მე-5 ტურში ქალბატონებმა გაიმარჯვეს 3,5:1,5 და საერთო ჩათვლაში წინ გავიდნენ 13:12.

სულ ტურნირში გაიმართება 10 ტური. ქალბატონთა ნაკრებში გამოდიან: ჟუ ჩენი (ჩინეთი), ალისა გალიამოვა (რუსეთი), ***ნანა იოსელიანი (საქართველო)***, სუ ქუნი (ჩინეთი), სოფია პოლგარი (ისრაელი). „ვეტერანთა“ ნაკრების შემადგენლობა ასეთია: ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), მარკ ტაიმანოვი (რუსეთი), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), ვასილი სმისლოვი (რუსეთი), ვლასტიმილ ჰორტი (გერმანია).

***V ტური:***

სუ ქუნი — კორჩნოი — ყაიმი
გალიამოვა — ტაიმანოვი — 1:0
ჟუ ჩენი — სმისლოვი — ყაიმი
***იოსელიანი*** — ჰორტი — 1:0
პოლგარი — პორტიში — ყაიმი.

## ჰენმანმა სძლია ფედერერს

ბაზელში დამთავრდა დიდი საჩოგბურთო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი შეადგენდა ერთ მილიონ დოლარს. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ შვეიცარიელი როჯერ ფედერერი და ინგლისელი ტიმ ჰენმანი. საკუთარმა კედლებმაც ვერ უშველა ფედერერს, სამ სეტში გაიმარჯვა ტიმ ჰენმანმა 6:3, 6:4, 6:2.

## დევენპორტი ისევ უძლიერესია

**ავსტრიის ქალაქ ლინცში დასრულდა მე-2 კატეგორიის საჩოგბურთო ტურნირი საპრიზო ფონდით 565 000 დოლარი. ფინალი ამერიკელმა ლინდსეი დევენპორტმა და იუგოსლაველმა ელენა დოკიჩმა გაითამაშეს. ამერიკელის უპირატესობა აშკარა იყო, რაც საბოლოოდ შედეგშიც აისახა — 6:4, 6:1.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრთამი ხელებს სწვავს

„გორდასა“ და მსაჯების დაპირისპირებაზე ადრეც თქმულა. წლეულს, „გურიასთან“ შინ დამარცხების შემდეგ, რუსთაველთა მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა იასონ ალადაშვილმა დაუფარავად განაცხადა — მსაჯისთვის 500 ლარი რომ მიმეცა, თამაშს მოვიგებდიო. ახლა კი უფრო ადრეული ამბავი გამომჟღავნდა, კლუბის პრეზიდენტი თემურ ბუიღლიშვილი კატეგორიული იყო და განაცხადა, რომ სამგურალთან მატჩის წინ, რომელიც გორდამ 0-2 წააგო, მატჩის მთავარ მსაჯს ალექსანდრე კრიჭაშვილს 700 ლარი მისცა და ობიექტური მსაჯობა მოსთხოვა, ფული კი ქართულ ფეხბურთში კორუმპირებული მსაჯების გამოვლენის მიზნით გადასცა, შემდეგ უკან გამოართვა. დამნაშავეთა გამოსააშკარავებლად ასეთი მეთოდი მთლად მისაღები რომ არ არის, ბატონმა თემურმა კარგად უნდა იცოდეს. ქრთამი მიმცემსაც და ამღებსაც, ორთავეს ხელებს სწვავს.

აღნიშნულ ფაქტზე, თავისი კატეგორიული პოზიცია სფფ-ს ჩინოსნებმაც დააფიქსირეს. სფფ-ს გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას განმარტებით: „არავითარი ექსპერიმენტი, ქრთამის მიცემა შეგნებულად მოხდა, ალექსანდრე კრიჭაშვილი გადაყენებულია ყველა ლიგების მსაჯობიდან, მის საქმეს სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის საექსპერტო — სადისციპლინო კომისია განიხილავს და თავის პოზიციას ისიც დააფიქსირებს მომხდარის გამო. სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას ჩამოსვლისთანავე, საქმე სრულყოფილად განიხილება და მკაცრ გადაწყვეტილებასაც მივიღებთ“.

*ანატოლი მილჩენკო:* „რუსთაველთა საქციელი ექსპერიმენტი არ არის, ეს შეგნებული ქმედებაა, მსაჯთა სახელის გატეხვის მიზანმიმართული ქმედება, მე არ ვამართლებ კრიჭაშვილს, მას მომხდარი ფაქტი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა ჩემთვის, მოეტანა ფული სფფ-ში და განეცხადებინა, რომ „გორდას“ თავკაცობის მხრიდან იყო მისი მოსყიდვის მცდელობა. სამწუხაროდ, მწარე სინამდვილეა, კრიჭაშვილი ჭუჭყიან თამაშში ჩაითრიეს, შეაცდინეს და სწორი გზიდან გადაახვევინეს, იგი დამნაშავეა უპირველესად იმაში, რომ მაშინვე არ გვაცნობა მომხდარი. მაგრამ ამაში მარტო მსაჯები როდი ვართ დამნაშავენი, არაკეთილსინდისიერი ხალხი ტრიალებს ქართული ფეხბურთის ირგვლივ, ასეთ ფაქტებს კიდევ გამოვავლენთ და შუა გზაზე არ გავჩერდებით. „ექსპერიმენტების“ ჩატარებას კი კლუბების მესვეურებმა, პრეზიდენტი იქნება ის თუ მწვრთნელი, უმჯობესია თავი ანებონ. ჩვენს გვერდით კი ვერც ქრთამის მიმცემს, ვერც ქრთამის ამღებს ვერ გავაჩერებთ“.



გელდარ მალხაზიშვილის ფოტოები

## პრეზიდენტის თასი დედაქალაქში დარჩა

ლამაზ, სანახაობრივ და უშეღავათო ორთაბრძოლებში დასრულდა პრეზიდენტის თასის პირველი გათამაშება სპორტის სასახლეში 12-15 წლის მოსწავლეთა შორის.

ფინალურ მატჩში თბილისის 116-ე საშუალო სკოლის აღსაზრდელებმა 2-0 დაამარცხეს ვანის პირველი საშუალო სკოლის გუნდი და თასს დაეუფლნენ.

მესამე ადგილისთვის მატჩში, გამარჯვებულის გამოსავლენად, პენალტების შესრულება გახდა საჭირო. შეხვედრის ძირითადი დრო ჩხოროწყუს მე-2 საშუალო სკოლასა და ლანჩხუთის პირველი საშუალო სკოლა-ინტერნატის გუნდებს შორის ფრედ 2-2 დასრულდა. პენალტების სერიაში უფრო იღბლიანები და ყოჩაღები სამეგრელოს წარმომადგენლები აღმოჩნდნენ.


თასის პირველი მფლობელი 116-ე საშუალო სკოლის გუნდი

საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში — XIII ტური

## ლიდერობისთვის ბრძოლა გამძაფრდა

თბილისობის დღეებში დედაქალაქში დიდი ფეხბურთი არ გაჩაღებულა. თბილისის ოთხივე გუნდი სტუმრად, გასვლით შეხვედრას ატარებდა. ორმა მოიგო, ორი კი დამარცხდა. ტურის მთავარი მოვლენა კი ფოთში მოხდა. „კოლხეთმა“, რომელიც საუკეთესო ექვსეულისთვის უმძაფრეს ბრძოლაშია ჩაბმული, ქუთაისის „ტორპედო“ შინ მიიღო და ჩემპიონატში პირველი მარცხი აწნია ლიდერს. კოლხებისა და იმერლების დაპირისპირება ყოველთვის საინტერესო და დაძაბული სანახავი იყო, არც შაბათის მატჩმა უმტყუნა გულშემატკივარს. უშეღავათო ორთაბრძოლაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს. შეხვედრის ფავორიტი, რა თქმა უნდა, „ტორპედო“ იყო, მაგრამ „კოლხეთის“ გამარჯვება მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. ზღვისპირელებმა ძველი დრო გაიხსენეს და შინაურ კედლებში ჩემპიონატების მატჩებში, ქუთათურებთან ისედაც დიდი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდეს. თანაც პირველ წრეში განცდილი მწარე მარცხისთვის რევანშიც აიღეს. ლიდერის დამუხრუჭებით მშვენივრად ისარგებლა თბილისის „ლოკომოტივმა“ და ზესტაფონში „მეტალურგის“ დამარცხებით „ტორპედოსთან“ მანძილი ოთხი ქულიდან ერთ ქულამდე შეამცირა. ცხრილის ფსკერიდან თავის დაღწევის შანსი სულ უფრო უმცირდება რუსთავის „გორდას“, აი ახლაც მეცამეტე ტურის საშინაო შეხვედრაში რუსთაველებმა ისევ წააგეს და თბილისელ დინამოელებს სამი ქულა გაატანეს.

თუ „ლოკომოტივმა“ და „დინამომ“ ივარგეს და გასვლით შეხვედრებში ასე საჭირო ქულები მოიპოვეს, ვიტელებზე და მერანელებზე ეს არ ითქმის. ყველაზე უილბლო და თარსი, ციფრი ცამეტი, „ვიტ ჯორჯიასთვის“ გამოდგა. ბათუმში ქულის აღებას ვინ ჩივის, ვიტელები დიდი ანგარიშით დამარცხდნენ და ცხრილში ერთბაშად სამი საფეხურით დაქვეითდნენ. ბათუმელებმა რკინიგზელებთან დამარცხების ჯავრი ვეტერინარებზე იყარეს და უახლოეს მეტოქეს ორი ქულითაც გაუსწრეს. ბოლნისში „სიონმა“ „მერანი“ არ გაახარა. ჩემპიონატში თავად მეოთხე მატჩი მოიგო, თბილისელებს კი მეხუთე მარცხი აგემა და საუკეთესო ექვსეულში დამკვიდრებისთვის ჭიდილის საქმე გაურთულა.

შედარებით „მშვიდად“ ლანჩხუთში გამართული მატჩი წარიმართა. „გურიამ“ და „სამგურალმა“ ერთმანეთს თითო გოლი გაუტანეს. თუ არ ჩავთვლით საკმაოდ წინ წასულ „ტორპედოს“ და „ლოკომოტივს“, ზედა ექვსეულში გუნდები მჭიდროდ, კომპაქტურად განლაგდნენ. მეშვიდე „ზედმეტი“ გუნდის გამოვლენამდე შორია, პირველი ეტაპის ბოლომდე კიდევ ცხრა ტურია, ახლა ღვინობის თვიდან გიორგობის თვეში გადავინაცვლებთ და მატჩებსაც ერთი საათით ადრე, შუა დღის სამ საათზე დავიწყებთ.

***იხ. მე-5 გვ.***

იხ. მე-5 გვ.

თსუ — მეტალურგი (ზესტაფონი)
გურია (ლანჩხუთი) — მილანი (წნორი)
ლოკომოტივი (თბილისი) — დილა (გორი)
სამგურალი (წყალტუბო) — ვიტ ჯორჯია (თბილისი)
დინამო (თბილისი) — სიონი (ბოლნისი)
დინამო (ბათუმი) — კოლხეთი 1913 (ფოთი)
მერანი (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი)

პირველი მატჩები 15 საათზე დაიწყება. საპასუხო შეხვედრები 13 ნოემბერს გაიმართება.



## საქართველოს თასი 1/8 ფინალი პირველი მატჩები

ეროვნულ ჩემპიონატში ერთკვირიანი პაუზაა. საფეხბურთო ვაკუუმს ხვალინდელი სათასო პაექრობები შეავსებს. უახლოეს ხანში დავით ყიფიანის სახელით მონათლული ეროვნული თასისთვის თორმეტ უმაღლესლიგელს ოთხი პირველი ლიგელი შეერკინება. ამ ეტაპზე გათამაშებაში ევრო თასებზე მოასპარეზენიც ჩაებნენ, რაც მატჩებისადმი ინტერესს აძლიერებს. საკმარისია უმაღლესი და პირველი ლიგების გათამაშების ცხრილებს დავხედოთ, გუნდების შანსების შეფასების საშუალებაც მოგვეცემა. უდავოა, გამოსაყოფი ორი მატჩია. „მერანი“ ლიდერს „ტორპედოს“ უმასპინძლებს, ბათუმის „დინამო“ კი „კოლხეთს“ მიიღებს. ზღვისპირელთა სათასო დაპირისპირება თითქმის ლეგენდადაა ქცეული. თასის გათამაშება ისე როგორ ჩაივლის, ისინი არ შეხვდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ეტაპზე. შარშანდელი მატჩები, რომლებიც მეოთხედფინალში გაიმართა, ბათუმელებმა მოიგეს, მაშინ, შინ პირველი მატჩი „დინამომ“ მოიგო 3-0, საპასუხო შეხვედრა ფოთში ნულოვანი ფრით დამთავრდა. ასეთი წყვილი კიდევ ერთია. თბილისის „დინამო“ შარშანდელივით ისევ მერვედფინალში შეხვდება ბოლნისის „სიონს“. წლეულსაც პირველი მატჩი კვლავ თბილისში გაიმართება, განმეორდება კი საბოლოო შედეგი? თბილისელებს გვარიანად გაუჭირდათ, ეროვნულზე 4-0 მოიგეს, ბოლნისში კი 0-2 დამარცხდნენ.

უინტერესო არც სხვა წყვილებია, სათასო მატჩებში, ხომ წინა პლანზე იწევს გუნდების განწყობა, თავდადება და შემდგომ ეტაპზე გასვლის სურვილი, ცხადია, უფრო მაღალი კლასის გუნდების დამარცხების ალბათობაც მატულობს. ვნახოთ!..

***31 ოქტომბერი***

გორდა (რუსთავი) — ქობულეთი

## ბავშვთა ფეხბურთი

### „ვაზისუბან“-„მუხრანის“ გუნდმა დაძმობილება გამარჯვებით აღნიშნეს



ისან-სამგორის რაიონის სპორტის მუშაკთა თაოსნობით და თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის (უფროსი დ. ჭელიძე) ხელშეწყობით მინიფეხბურთელთა ერთკვირიან ასპარეზობაში, რომელიც „თბილისობა – 2001“-ის პროგრამით ჩატარდა, 1987 წელს დაბადებულებით დაკომპლექტებული ჭაბუკთა გუნდები მონაწილეობდნენ – „შევარდენი“, „მერანი“, „ასკ“, „ვაზისუბანი“ – „მუხრანი“, „დინამო“, „ბერმუხა“, „კრწანისი – 21-ე საუკუნე“, 35-ე სკოლა... სულ 16 გუნდი.

დაძაბული და საინტერესო პაექრობების შემდეგ ფინალში „დინამოს“ და „ვაზისუბანი“ – „მუხრანის“ ჭაბუკები შეხვდნენ ერთმანეთს. 2-1 გაიმარჯვა „ვაზისუბან“ – „მუხრანის“ ნაკრებმა (მწვრთნელები, ძმები ალექსანდრე და კობა იორამიშვილები). მესამე ადგილისთვის მატჩი არ შედგა. უთამაშებლად მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს „შევარდენმა“ (მწვრთნელი გია ნავროზაშვილი) და „ვიტ-ჯორჯიამ“.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა დათო ცისკარიშვილი („ვაზისუბანი“ – „მუხრანი“), ტექნიკურ მოთამაშედ – ბესო კობიძე, საუკეთესო მცველად – უშანგი ბახტაძე (ორივე – „დინამო“), ბომბარდირად – გიორგი გულორდავა („ბერმუხა“), მეკარედ – ზაზა აბელიშვილი („ვაზისუბანი“ – „მუხრანი“).

ტურნირი, რომელიც სპორტკლუბ „ედელვაისის“ სპონსორობით ჩატარდა, მოეწყო ზურაბ კანდელაკის და თამაზ გურასპიშვილის თანადგომით. ორგანიზატორების მადლობა დაიმსახურა მასპინძელმა გია ქისაშვილმა.



## ლიდერობისთვის ბრძოლა გამძაფრდა

*(მე-4 გვერდიდან)*

ქვედა ექვსეულში თითქმის ყველაფერი გაირკვა, ცხრილის ზევით აღწევას მხოლოდ „სიონი“ ცდილობს, „სამგურალი“ „გურია“, „მეტალურგი“ და „გორდა“, თუ მათი თამაშის ხარისხი მკვეთრად არ შეიცვალა, სეზონის ბოლომდე მხოლოდ ლიგაში დარჩენაზე იზრუნებენ.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 13 | 10 | 2 | 1 | 33-9 | 32 |
| ლოკომოტ. | 13 | 10 | 1 | 2 | 28-8 | 31 |
| მერანი | 13 | 7 | 1 | 5 | 23-21 | 22 |
| დინამო (ბთ) | 13 | 6 | 4 | 3 | 18-10 | 22 |
| დინამო (თბ) | 13 | 6 | 3 | 4 | 24-11 | 21 |
| კოლხ.1913 | 13 | 6 | 3 | 4 | 23-21 | 21 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 5 | 4 | 4 | 19-16 | 19 |
| სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 9-19 | 15 |
| სამგურალი | 13 | 2 | 3 | 8 | 9-24 | 9 |
| გურია | 13 | 1 | 6 | 6 | 10-21 | 9 |
| მეტალურგი | 13 | 1 | 4 | 8 | 6-27 | 7 |
| გორდა | 13 | 1 | 4 | 8 | 10-25 | 7 |

## ტექნიკური შედეგები

### კოლხეთი 1913 – ტორპედო 3-2

*კოლხეთი:* მ. გვასალია, ქობულაძე, კრასოვსკი (ბაჩილავა 77), წივწივაძე, ე. გვასალია, ფანჩულიძე, კვირკველია, პაპავა, აკობია, მუმლაძე (მიქელთაძე 82), ნარსია.
*ტორპედო:* გვარამაძე, აკოფიანი, აბრამიძე (გამეზარდაშვილი 53), ქემოკლიძე, მახვილაძე, ლევან სილაგაძე, დიდავა, გუჩუა (ახალკაცი 46), ბაბუნაშვილი, იონანიძე, ასათიანი (პოროშინი 46).
*გოლები:* 0-1 სილაგაძე (33 პ), 1-1 წივწივაძე (55 პ), 2-1 კვირკველია (78), 2-2 დიდავა (90), 3-2 წივწივაძე (90).
*გააფრთხილეს:* პაპავა.
*მსაჯი:* ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

### გურია – სამგურალი 1-1

*გურია:* გ. დოლიძე, განევი, ებრალიძე, ორბელაძე, ფაცურია, სულაკაძე, კაციაშვილი, მარლიშვილი (ლ. ჩხაიძე 77), ხუჭუა (ქიქავა 71), კ. მეტრეველი, ნაროუშვილი (ზ. ენდელაძე 46).
*სამგურალი:* ბოდოკია, ფრანგიშვილი, ბერაძე, ბანძელაძე, დ. ჭელიძე, კიკვიძე, კ. ჯანაშია (ფხაკაძე 78), ღონღაძე, ვაჩიბერაძე (გ. მიქაძე 58), ხუნდაძე, ჯინჭარაძე (კოპალიანი 46).
*გოლები:* 1-0 ფაცურია (12), 1-1 ხუნდაძე (61).
*გააფრთხილეს:* კ. მეტრეველი.
*მსაჯი:* ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა).

### სიონი – მერანი 2-1

**სიონი:** ვოლკოვი, სიდამონიძე, სვანიძე, ბარქაია (კ. გოდერძიშვილი 15), დაუშვილი (მინდიაშვილი 46), ბარნოვი, მოსეშვილი, ამბიძე, მინაშვილი (შაკიაშვილი 80), ბ. შენგელია, ისიანი.
**მერანი:** დევაძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი (კოშკაძე 82), დევიძე, დავითაშვილი, ბაჯელიძე (მუხინი 73), გაგუა (გ. ხიზანიშვილი 65), ი. შენგელია, ჭინჭარაული, ბოლქვაძე, კვეკვესკირი.
*გოლები:* 0-1 გაგუა (4), 1-1 ამბიძე (68 პ.), 2-1 ისიანი (75). 31-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა დავითაშვილმა.
*გააფრთხილეს:* სვანიძე, ცქიფურიშვილი, ი. შენგელია, კვეკვესკირი, ბოლქვაძე.
*გააძევეს:* ბოლქვაძე
*მსაჯი:* პ. დოგრაშვილი

### გორდა – დინამო (თბ) 0-1

*გორდა:* ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბურნაძე, ბერიძე, ბალასანიძე, გ. მიქაძე, ზვ. ლაბაძე, მელაძე (გოცირიძე 53), კ. ალადაშვილი (კაპანაძე 46). პეტრიაშვილი, ჯელაძე (კიტეიშვილი 70).
*დინამო:* ზოიძე, სვანაძე, კანდელაკი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, სახვაძე (მანწკავა 86), ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია, ზირაქიშვილი (შალამბერიძე 83), ბობოხიძე (იაგორაშვილი 88).
*გოლები:* 0-1 ზირაქიშვილი (66).
*გააფრთხილეს:* ბალასანიძე, მიქაძე, გოცირიძე.
*მსაჯი:* მალაღურაძე (თბილისი)

### დინამო (ბთ) – ვიტ ჯორჯია 3-0

*დინამო:* ჰანტურია, ჩხაიძე (რომანაძე 84) მინდაძე, არჩვაძე, კობიძე, ქაცარავა, ხუჯაძე, დარჩიძე, მაჭუტაძე (ბეჟანიძე 83), ტუღუში (ზვ. გვაზავა 78), აფხაზავა.
*ვიტ ჯორჯია:* მამარდაშვილი, ზაზაშვილი (იაშვილი 63), თ. კობიაშვილი, ჰანკოტაძე, ჯ. მუჯირი, კ. სვანიძე (დ. დოლიძე 30), ადამია, ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი, ზ. მეტრეველი, ვ. გოჩაშვილი (ფეიქრიშვილი 63),
*გოლები:* 1-0 მაჭუტაძე (13), 2-0 აფხაზავა (19), 3-0 დარჩიძე (53)
*გააფრთხილეს:* ქაცარავა.
*მსაჯი:* ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

### მეტალურგი – ლოკომოტივი 0-3

*მეტალურგი:* ოდიკაძე, მაღლაკელიძე, ორმოცაძე, მერებაშვილი (გოგაძე 65), ღონღაძე, კრავეიშვილი (ხმალაძე 85), ფირცხალაიშვილი (სუხიაშვილი 46), მემარნიშვილი, შეყრილაძე, გეწაძე, გურეშიძე.
*ლოკომოტივი:* ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ზ. ლაცაბიძე, ონიანი, გელა ქორიძე (გოგნაძე 77), ჭიჭვეიშვილი, ბაქრაძე (არუდაშვილი 68), ანჩაბაძე, დათვაძე, (დ. გოდერძიშვილი 46), კაიდარაშვილი.
*გოლები:* 0-1 ლაცაბიძე (50), 0-2 კაიდარაშვილი (66), 0-3 ონიანი (85)
*გააფრთხილეს:* ლაცაბიძე
*მსაჯი:* ა. ორდინიძე (ონი)

### ბომბარდირები

8 — აშვეთია (ტორპედო)
ბობოხიძე (დინამო თბ)
წივწივაძე (კოლხეთი 1913)
7 — დათვაძე (ლოკომოტივი)
გაგუა (მერანი)
6 — გოგობერიშვილი (ვიტ ჯორჯია)
პოროშინი (ტორპედო)
მაჭუტაძე (დინამო ბთ.)

## პირველი ლიგა ● XIII ტური

დინამო 2 (თბ) — თსუ 0-2
ქობულეთი — თორი (მატჩი არ შედგა)
ლოკომოტ.(სამტ) — მილანი (წნ) 2-1
კოლხეთი (ხ) — ლოკომოტ.3 (თბ) 0-2
მერანი2 — ლაზიკა 1-2
დილა — ცხინვალი 1-2

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 13 | 8 | 3 | 2 | 29-10 | 27 |
| დილა | 13 | 8 | 2 | 3 | 25-7 | 26 |
| თსუ | 13 | 8 | 2 | 3 | 20-9 | 26 |
| ქობულეთი | 12 | 8 | 2 | 2 | 14-7 | 26 |
| ლოკომოტ.3 | 13 | 6 | 4 | 3 | 22-15 | 22 |
| ლაზიკა | 13 | 5 | 3 | 5 | 16-22 | 18 |
| ცხინვალი | 12 | 5 | 2 | 5 | 20-17 | 17 |
| დინ.2 (თბ) | 13 | 5 | 1 | 7 | 11-15 | 16 |
| ლოკომ.(სამტ) | 13 | 3 | 3 | 7 | 12-22 | 12 |
| კოლხეთი(ხ) | 13 | 2 | 6 | 5 | 10-16 | 12 |
| მერანი2 | 13 | 2 | 1 | 10 | 7-25 | 7 |
| თორი | 11 | 1 | 1 | 9 | 7-28 | 4 |

„თორმა“ ქობულეთში მატჩზე დაიგვიანა.


[illegible] ფოტო

## გიორგი სანაიას თასი მე-9 არხელებს ერგოთ

გაზეთ „ოლიმპის“ თაოსნობით, ბავშვთა საფეხბურთო სკოლის „ოლიმპის“ (ყოფილი „დერბი“) საფეხბურთო მოედანზე, ჩატარდა რუსთავი 2-ის ჟურნალისტის გიორგი სანაიას ხსოვნის ტურნირი. ორდღიან პაექრობებში მონაწილეობდა ტელევიზიის 3 და გაზეთის — 6 გუნდი. ნახევარფინალებში ერთმანეთს ტელეკომპანია მე-9 არხი და „კვირის პალიტრა“, „სვაბოდნაია გრუზია“ და „დრონი“ შეხვდნენ.

პირველ ნახევარფინალში 8-4 გაიმარჯვა მე-9 არხმა. მეორე ნახევარფინალი „დრონმა“ 9-2 მოიგო.

ფინალში იმარჯვა ტურნირის მართლაც საუკეთესომ — მე-9 არხის გუნდმა, რომელმაც „დრონი“ 8-3 დაამარცხა და თასს დაეუფლა.

შეჯიბრების ბომბარდირები გახდნენ — ირაკლი სეფერთელაძე (მე-9 არხი) და გიორგი ალთუნაშვილი („დრონი“) — 11-11 გოლი.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ მე-9 არხელი მიხეილ ჯორბენაძე აღიარეს.

## რეგიონული ლიგა

### აღმოსავლეთი ზონა

**V ტური**

*გადატანილი მატჩები*

გორდა2 — აკადემია 1-1
ვარძია — მესხეთი 1-0
ოლიმპიკი — ჯავახი 7-0
ვიტ ჯორჯია2 — ცხუმი 0-1
ზოოვეტი — ჭაბუკიანი 1-4
ივერია — კრწანისი 3-0
დინამო3 — მრეტები 1-1
მცხეთა — მერანი3 4-0
ლიახვი — მაუდი 0-1
ალაზანი — თბილისი 7-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 11 | 9 | 1 | 1 | 27-5 | 28 |
| ალაზანი | 11 | 8 | 2 | 1 | 33-12 | 26 |
| ივერია | 11 | 7 | 2 | 2 | 29-14 | 23 |
| ზოოვეტი | 10 | 7 | 0 | 3 | 20-11 | 21 |
| მაუდი | 10 | 6 | 2 | 2 | 12-6 | 20 |
| ვარძია | 11 | 6 | 2 | 3 | 12-10 | 20 |
| ვიტ ჯორჯია2 | 11 | 5 | 4 | 2 | 28-8 | 19 |
| აკადემია | 11 | 5 | 4 | 2 | 19-11 | 19 |
| ლიახვი | 11 | 5 | 1 | 5 | 16-18 | 16 |
| ოლიმპიკი | 10 | 4 | 3 | 3 | 22-12 | 15 |
| ცხუმი | 11 | 4 | 3 | 4 | 15-11 | 15 |
| ჭაბუკიანი | 10 | 3 | 6 | 1 | 13-7 | 15 |
| გორდა2 | 11 | 3 | 3 | 5 | 15-13 | 12 |
| თბილისი | 11 | 3 | 2 | 6 | 19-28 | 11 |
| მესხეთი | 11 | 3 | 1 | 7 | 8-20 | 10 |
| დინამო3(თბ) | 10 | 2 | 4 | 4 | 12-14 | 10 |
| კრწანისი | 11 | 2 | 2 | 7 | 12-27 | 8 |
| მერანი3 | 11 | 2 | 1 | 8 | 8-28 | 7 |
| მრეტები | 10 | 0 | 3 | 7 | 11-23 | 3 |
| ჯავახი | 11 | 0 | 0 | 11 | 8-61 | 0 |

### დასავლეთი ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 12 | 11 | 1 | 0 | 31-7 | 34 |
| სულორი | 12 | 10 | 0 | 2 | 34-15 | 30 |
| დინამო (ზ) | 12 | 9 | 2 | 1 | 23-7 | 29 |
| გურია2 | 11 | 8 | 1 | 2 | 32-9 | 25 |
| სალხინო | 12 | 8 | 0 | 4 | 20-16 | 24 |
| საპოვნელა | 12 | 7 | 3 | 2 | 38-14 | 24 |
| კოლხეთი2 | 12 | 5 | 5 | 2 | 20-12 | 20 |
| ინტერი | 12 | 6 | 1 | 5 | 18-13 | 19 |
| მეტალურგი | 12 | 5 | 3 | 4 | 16-15 | 18 |
| საირმე | 12 | 5 | 1 | 6 | 11-10 | 16 |
| ეგრისი | 12 | 5 | 1 | 6 | 20-22 | 16 |
| სქური | 11 | 5 | 1 | 5 | 17-23 | 16 |
| მაღაროელი | 12 | 5 | 1 | 6 | 23-21 | 16 |
| გზები | 12 | 5 | 0 | 7 | 15-22 | 15 |
| სამეგრელო | 12 | 3 | 2 | 7 | 16-26 | 11 |
| დინამო2 | 11 | 2 | 2 | 7 | 7-16 | 8 |
| ჩიხურა | 12 | 2 | 1 | 9 | 9-30 | 7 |
| ლუკა | 12 | 2 | 0 | 10 | 10-42 | 6 |
| დინ. (სოხ) | 12 | 1 | 3 | 8 | 10-25 | 6 |
| ოკრიბა | 11 | 0 | 0 | 11 | 3-28 | 0 |


ზაზა ჯანაშია

## ჯანაშიას „ლოკომოტივიდან“ წასვლა სურს

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია არ გამორიცხავს, რომ წავიდეს კლუბიდან თუ უახლოეს პერიოდში ვერ დაიბრუნებს ადგილს ძირითად შემადგენლობაში. „მირჩევნია წავიდე, ვიდრე სათადარიგოთა სკამზე ვიჯდე“ – აცხადებს 25 წლის ფეხბურთელი და დასძენს, რომ: „გადავალ დასავლეთ ევროპის ან მოსკოვის ერთ-ერთ კლუბში, რომელსაც ამბიციები გააჩნია“.

როგორ შეხვდა ჯანაშიას ამ განცხადებას ლოკომოტიველთა დამრიგებელი იური სიომინი? ძალიან მშვიდად. მეტიც, ის ქართველი ლეგიონერის გუნდიდან წასვლის წინააღმდეგი არ არის. „ზაზას კონტრაქტის ვადა სეზონის ბოლოსთვის იწურება, ის ვერ ხვდება ძირითად შემადგენლობაში და ალბათ გამოვეთხოვებით. ჯანაშიას ბევრი მიწვევა აქვს, მათ შორის მოსკოვის გუნდებიდან, მაგრამ ამ ეტაპზე მის ტრანსფერზე ლაპარაკი ნაადრევია“ – ამბობს სიომინი.

შეგახსენებთ, რომ ზაზა ჯანაშია 1996 წელს გადავიდა ლოკომოტივში სამტრედიის გუნდიდან.

„დეილი ფუტბოლი“. 29.X.01

## ნომრიდან ნომრამდე

### აქ წაიკითხავთ: ბალტიისპირელები ერთიან საფეხბურთო ჩემპიონატს ჩაატარებენ ● ბუნდესლიგის „შავი სალარო“ ● მარკო ვან ბასტენს „აიაქსი“ ეპატიჟება ● რა უნდოდა ანატოლი ბიშოვეცს მოსკოვში საქართველოს საელჩოში?

● **ლატვიის ფეხბურთის ფედერაცია გამოვიდა თაოსნობით ბალტიისპირეთის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატის გაერთიანების თაობაზე. როგორც ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი იანის მოზეკისი აცხადებს, ახალ წინადადებას გაგებით შეხვდნენ ლიტვასა და ესტონეთში. დაინტერესებულმა მხარეებმა ბევრ რამეზე უკვე მოილაპარაკეს და საერთო თანხმობა აცნობეს უეფას. გამოსანახი დარჩა მხოლოდ 1,5 მილიონი დოლარი პროექტის განსახორციელებლად. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, 2003-2004 წლებში ბალტიისპირელები თავის პირველ ჩემპიონატს ჩაატარებენ.**

● **გავლენიანმა** გაზეთმა „ზიუდოიჩე ცაიტუნგმა“ წინა პლანზე წამოსწია ბუნდესლიგის საფეხბურთო კლუბების „შავი სალაროს“ თემა. ირკვევა, რომ ფისკალური ორგანოების გვერდის ავლით პროფესიონალი ფეხბურთელების ანგარიშზე გადაირიცხება სოლიდური თანხები. ირწმუნებიან, რომ არ ხდება ამ თანხების დეკლარირება და არ იბეგრება. ამ აფიორაში გაწაფულნი არიან ფეხბურთელთა აგენტები, რომლებიც ხსნიან ფიქტიურ ფირმებს ლიხტენშტეინში ან შვეიცარიაში, რომელთა ანგარიშზე ხვდება დიდძალი „შავი ფული“. ჯერჯერობით ზემოთქმულის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს მხოლოდ „ბაიერის“ და „ვოლფსბურგის“ კლუბების მესვეურებმა.

● **ნიდერლანდების პრესის ცნობით, „აიაქსის“ ადმინისტრაცია, მზადაა წარსულში ცნობილ ფორვარდს მარკო ვან ბასტენს შესთავაზოს კლუბის ჭაბუკთა ნაკრების ხელმძღვანელობა. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ 36 წლის ვან ბასტენი, რომლის სათამაშო კარიერა ფეხის მოტეხილობამ შეწყვიტა, ძალიან სურს დაბრუნდეს საფეხბურთო მინდორზე და განაგრძოს თამაში.**

● **როგორც** ცნობილია, მოსკოვის „დინამომ“ ქვეყნის მიმდინარე ჩემპიონატში ფიასკო განიცადა. ალექსანდრ ნოვიკოვი, როგორც იუწყებიან, კლუბს მალე დატოვებს. ლაპარაკობენ, რომ მის შემცვლელად „დინამოში“ მოვა ანატოლი ბიშოვეცი, მაგრამ კვლავ არ ცხრება მითქმა-მოთქმა, რომ ამ სპეციალისტს თბილისის „დინამოც“ ეპატიჟება. ეს ვარაუდი უფრო სარწმუნო გახადა იმან, რომ ანატოლი ფიოდოროვიჩი, ამ დღეებში, მოსკოვში, საქართველოს საელჩოში შეუნიშნავთ.




## 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### ევროპა

**VII ჯგუფი (გადადებული მატჩი)**

ისრაელი — ავსტრია 1-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 21-4 | 20 |
| ავსტრია | 8 | 4 | 3 | 1 | 10-8 | 15 |
| ისრაელი | 8 | 3 | 3 | 2 | 11-7 | 12 |
| ბოსნია | 8 | 2 | 2 | 4 | 12-12 | 8 |
| ლიხტენშტეინი | 8 | 0 | 0 | 8 | 0-23 | 0 |

ავსტრიის ნაკრებმა მოიპოვა პლეი-ოფში მონაწილეობის უფლება, სადაც ის შეხვდება თურქეთის ნაკრებს. პირველი შეხვედრა გაიმართება 10 ნოემბერს, განმეორებითი კი 14 ნოემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## გერმანია

მიუნხენი — ლევერკუზენი 1-4
შტუტგარტი — სტ. პაული 2-0
კოტბუსი — დორტმუნდი 0-2
ვერდერი — ვოლფსბურგი 1-0
კიოლნი — ბაიერნი 0-2
კაიზერი — შალკე 0-0
მიონხენგლადბახი — ფრაიბურგი 2-2
ნიურნბერგი — ჰერტა 1-3
ჰამბურგი — ჰანზა 0-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 11 | 9 | 1 | 1 | 27-4 | 28 |
| ლევერკუზენი | 11 | 8 | 3 | 0 | 29-12 | 27 |
| კაიზერი | 11 | 8 | 1 | 2 | 24-14 | 25 |
| დორტმუნდი | 11 | 7 | 1 | 3 | 17-8 | 22 |
| შტუტგარტი | 11 | 5 | 3 | 3 | 14-13 | 18 |
| შალკე | 11 | 5 | 3 | 3 | 12-12 | 18 |
| ვერდერი | 11 | 5 | 2 | 4 | 16-14 | 17 |
| ჰერტა | 11 | 5 | 2 | 4 | 17-17 | 17 |
| მიონხენგ.ბახი | 11 | 3 | 4 | 4 | 15-15 | 13 |
| ფრაიბურგი | 11 | 3 | 4 | 4 | 15-16 | 13 |
| ჰამბურგი | 11 | 3 | 3 | 5 | 14-15 | 12 |
| ჰანზა | 11 | 3 | 3 | 5 | 11-16 | 12 |
| კოტბუსი | 11 | 3 | 2 | 6 | 12-22 | 11 |
| მიუნხენი | 11 | 3 | 2 | 6 | 12-23 | 11 |
| ვოლფსბურგი | 11 | 2 | 3 | 6 | 13-17 | 9 |
| კიოლნი | 11 | 2 | 2 | 7 | 7-20 | 8 |
| სტ. პაული | 11 | 1 | 4 | 6 | 11-17 | 7 |
| ნიურბერგი | 11 | 2 | 1 | 8 | 8-19 | 7 |

## ინგლისი

მანჩესტერი — ლიდსი 1-1
ასტონ ვილა — ბოლტონი 3-2
ჩარლტონი — ლივერპული 0-2
ევერტონი — ნიუკასლი 1-3
ფულემი — საუთჰემპტონი 2-1
სანდერლენდი — არსენალი 1-1
ტოტენჰემი — მიდლსბრო 2-1
იფსვიჩი — ვესტ ჰემი 2-3
დერბი — ჩელსი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასტონ ვილა | 10 | 6 | 3 | 1 | 17-8 | 21 |
| ლიდსი | 10 | 5 | 5 | 0 | 12-3 | 20 |
| არსენალი | 10 | 5 | 4 | 1 | 22-9 | 19 |
| ლივერპული | 9 | 6 | 1 | 2 | 17-9 | 19 |
| მანჩესტერი | 10 | 5 | 3 | 2 | 26-16 | 18 |
| ნიუკასლი | 10 | 5 | 2 | 3 | 18-14 | 17 |
| ტოტენჰემი | 11 | 5 | 2 | 5 | 18-15 | 17 |
| ჩელსი | 10 | 3 | 6 | 1 | 14-10 | 15 |
| ბოლტონი | 11 | 4 | 3 | 4 | 14-14 | 15 |
| ევერტონი | 10 | 4 | 2 | 4 | 16-15 | 14 |
| ვესტ ჰემი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-19 | 14 |
| ბლექბერნი | 10 | 3 | 4 | 3 | 18-14 | 13 |
| სანდერლენდი | 11 | 3 | 4 | 4 | 10-13 | 13 |
| ფულემი | 10 | 2 | 5 | 3 | 10-12 | 11 |
| მიდლსბრო | 11 | 3 | 2 | 6 | 11-19 | 11 |
| ჩარლტონი | 10 | 2 | 4 | 4 | 8-11 | 10 |
| იფსვიჩი | 11 | 1 | 5 | 5 | 12-18 | 8 |
| დერბი | 10 | 1 | 4 | 5 | 8-17 | 7 |
| საუთჰემპტონი | 10 | 2 | 1 | 7 | 9-19 | 7 |
| ლესტერი | 10 | 1 | 2 | 7 | 6-23 | 5 |

## საფრანგეთი

ოსერი — მარსელი 2-0
რენი — ლანსი 1-2
ბორდო — სედანი 2-1
ლილი — მეცი 2-0
ლორიანი — გენგამი 6-2
მონაკო — ლიონი 2-1
მონპელიე — ტრუა 2-0
პსჟ — ბასტია 1-0
სოშო — ნანტი 0-1



მანჩესტერი — ლიდსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 12 | 8 | 3 | 1 | 21-11 | 27 |
| ლილი | 12 | 7 | 5 | 0 | 14-5 | 26 |
| ოსერი | 12 | 6 | 5 | 1 | 20-11 | 23 |
| ლიონი | 12 | 6 | 3 | 3 | 21-11 | 21 |
| ბორდო | 12 | 5 | 5 | 2 | 9-5 | 20 |
| სოშო | 12 | 5 | 4 | 3 | 19-14 | 19 |
| პსჟ | 12 | 4 | 7 | 1 | 15-10 | 19 |
| ტრუა | 12 | 5 | 2 | 5 | 15-14 | 17 |
| ლორიანი | 12 | 4 | 3 | 5 | 21-20 | 15 |
| მონაკო | 12 | 4 | 3 | 5 | 12-12 | 15 |
| რენი | 12 | 4 | 2 | 6 | 13-22 | 14 |
| გენგამი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-21 | 14 |
| ბასტია | 12 | 4 | 1 | 7 | 10-15 | 13 |
| მონპელიე | 12 | 2 | 6 | 4 | 8-9 | 12 |
| მარსელი | 12 | 2 | 5 | 5 | 6-9 | 11 |
| მეცი | 12 | 3 | 1 | 8 | 6-14 | 10 |
| სედანი | 12 | 1 | 5 | 6 | 10-18 | 8 |
| ნანტი | 12 | 1 | 4 | 7 | 7-17 | 7 |

## იტალია

იუვენტუსი — ინტერი 0-0
რომა — ლაციო 2-0
ბრეშა — ვენეცია 3-2
კიევო — ტორინო 3-0
ლეჩე — ატალანტა 0-2
მილანი — ბოლონია 0-0
პარმა — ვერონა 2-2
პერუჯა — პიაჩენცა 1-0
უდინეზე — ფიორენტინა 1-2



ნიურნბერგი — ჰერტა



პარმა — ვერონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 8 | 6 | 1 | 1 | 18-8 | 19 |
| რომა | 8 | 4 | 3 | 1 | 13-6 | 15 |
| მილანი | 8 | 4 | 3 | 1 | 17-11 | 15 |
| ინტერი | 8 | 4 | 3 | 1 | 13-9 | 15 |
| ბოლონია | 8 | 4 | 2 | 2 | 4-3 | 14 |
| იუვენტუსი | 8 | 3 | 4 | 1 | 12-7 | 13 |
| ბრეშა | 8 | 3 | 4 | 1 | 15-12 | 13 |
| ვერონა | 8 | 3 | 3 | 2 | 9-7 | 12 |
| უდინეზე | 8 | 2 | 3 | 3 | 14-12 | 9 |
| პერუჯა | 8 | 2 | 3 | 3 | 8-9 | 9 |
| ლეჩე | 8 | 2 | 3 | 3 | 10-13 | 9 |
| ფიორენტინა | 8 | 3 | 0 | 5 | 12-18 | 9 |
| პიაჩენცა | 8 | 2 | 2 | 4 | 11-12 | 8 |
| პარმა | 8 | 1 | 5 | 2 | 8-9 | 8 |
| ლაციო | 8 | 1 | 5 | 2 | 3-5 | 8 |
| ატალანტა | 8 | 2 | 1 | 5 | 8-16 | 7 |
| ტორინო | 8 | 1 | 3 | 4 | 8-15 | 6 |
| ვენეცია | 8 | 0 | 2 | 6 | 5-15 | 2 |

## ესპანეთი

ვილიარეალი — რეალი 2-3
რაიო — დეპორტივო 2-1
ოსასუნა — მალიორკა 4-0
ბარსელონა — ბეტისი 3-0
ტენერიფე — სოსიედადი 0-1
ალავესი — ლას პალმასი 1-0
სელტა — ვალიადოლიდი 1-1
სარაგოსა — მალაგა 0-2
სევილია — ვალენსია 1-1
ბილბაო — ესპანიოლი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 10 | 6 | 2 | 2 | 18-11 | 20 |
| ბარსელონა | 10 | 5 | 4 | 1 | 17-7 | 19 |
| სელტა | 10 | 4 | 6 | 0 | 18-8 | 18 |
| ალავესი | 10 | 5 | 3 | 2 | 11-5 | 18 |
| ვალენსია | 10 | 4 | 6 | 0 | 12-7 | 18 |
| ბეტისი | 10 | 5 | 2 | 3 | 13-11 | 17 |
| ვილიარეალი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-11 | 14 |
| ოსასუნა | 10 | 4 | 2 | 4 | 9-11 | 14 |
| ესპანიოლი | 10 | 4 | 2 | 4 | 13-16 | 14 |
| რეალი | 10 | 3 | 4 | 3 | 17-15 | 13 |
| სევილია | 10 | 3 | 4 | 3 | 15-14 | 13 |
| მალაგა | 10 | 3 | 4 | 3 | 13-12 | 13 |
| ბილბაო | 10 | 3 | 4 | 3 | 12-14 | 13 |
| ვალიადოლიდი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-16 | 12 |
| ლას პალმასი | 10 | 3 | 2 | 5 | 10-8 | 11 |
| სარაგოსა | 10 | 3 | 2 | 5 | 9-13 | 11 |
| ტენერიფე | 10 | 3 | 1 | 6 | 7-13 | 10 |
| სოსიედადი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-17 | 8 |
| მალიორკა | 10 | 2 | 2 | 6 | 6-16 | 8 |
| რაიო | 10 | 2 | 1 | 7 | 10-19 | 7 |

## პორტუგალია

ფარენსე — ბენფიკა 0-2
ბრაგა — მარიტიმუ 1-0
გიმარაეში — ვარზიმი 4-0
ფერეირა - სპორტინგი 0-6
ალვერკა — პორტუ 0-1
ლეირია — ბეირა მარი 4-1
ჟილ ვისენტე — სეტუბალი 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 10 | 7 | 1 | 2 | 18-8 | 22 |
| ბენფიკა | 10 | 5 | 5 | 0 | 19-11 | 20 |
| პორტუ | 10 | 6 | 1 | 3 | 18-7 | 19 |
| სპორტინგი | 10 | 5 | 2 | 3 | 20-9 | 17 |
| გიმარაეში | 10 | 5 | 1 | 4 | 13-14 | 16 |
| ბეირა მარი | 10 | 4 | 3 | 3 | 22-19 | 15 |
| მარიტიმუ | 10 | 5 | 0 | 5 | 15-12 | 15 |
| ბრაგა | 10 | 4 | 2 | 4 | 15-9 | 14 |
| ლეირია | 10 | 3 | 5 | 2 | 13-10 | 14 |
| ჟილ ვისენტე | 10 | 4 | 2 | 4 | 10-13 | 14 |
| ბელენენსეში | 9 | 4 | 1 | 4 | 14-14 | 13 |
| სეტუბალი | 10 | 3 | 2 | 5 | 15-15 | 11 |
| ფარენსე | 10 | 3 | 2 | 5 | 7-15 | 11 |
| სალგეირუში | 9 | 3 | 1 | 5 | 8-17 | 10 |
| ალვერკა | 10 | 3 | 1 | 6 | 13-22 | 10 |
| სანტა კლარა | 10 | 2 | 4 | 4 | 8-15 | 10 |
| ფერეირა | 10 | 1 | 5 | 4 | 9-16 | 8 |
| ვარზიმი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-22 | 8 |

## ჰოლანდია

როდა — ნაიმეგენი 0-0
ჰერენვენი — გრააფსხაპი 1-0
პსვ — ვალვაიკი 2-0
ტვენტე — ვიტესი 0-0
ალკმაარი — სიტარდი 3-0
აიაქსი — ტილბურგი 4-1
ფეიენოორდი — უტრეხტი 4-0
გრონინგენი — დენ ბოსხი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 10 | 8 | 1 | 1 | 25-9 | 25 |
| ფეიენოორდი | 9 | 7 | 1 | 1 | 21-3 | 22 |
| ვიტესი | 11 | 6 | 4 | 1 | 10-3 | 22 |
| ჰერენვენი | 11 | 6 | 3 | 2 | 23-9 | 21 |
| პსვ | 11 | 5 | 2 | 4 | 18-16 | 17 |
| უტრეხტი | 11 | 5 | 1 | 5 | 16-14 | 16 |
| ტილბერგი | 11 | 4 | 4 | 3 | 17-16 | 16 |
| ნაიმეგენი | 11 | 4 | 3 | 4 | 10-6 | 15 |
| ალკმაარი | 11 | 4 | 2 | 5 | 14-14 | 14 |
| ვალვაიკი | 11 | 4 | 1 | 6 | 11-12 | 13 |
| გრააფსხაპი | 11 | 4 | 1 | 6 | 14-18 | 13 |
| დენ ბოსხი | 11 | 2 | 6 | 3 | 12-13 | 12 |
| ბრედა | 10 | 3 | 3 | 4 | 12-17 | 12 |
| გრონინგენი | 11 | 3 | 2 | 6 | 11-17 | 11 |
| ტვენტე | 10 | 2 | 4 | 4 | 10-15 | 10 |
| სპარტა | 10 | 2 | 4 | 4 | 10-21 | 10 |
| როდა | 11 | 2 | 2 | 7 | 10-17 | 8 |
| სიტარდი | 9 | 1 | 2 | 6 | 8-20 | 5 |

## ბელგია

სტანდარდი — ანდერლეხტი 1-0
შარლერუა — გენკი 0-3
მიოლენბეკი — ლუვიე 1-0
სტ. ტრუიდენ — ანტვერპენი 3-1
ვესტერლო — ლოკერენი 0-1
ლომელი — ლიერსი 2-2
ბეერსხოტი — აალსტი 4-0
გენტი — ბრიუგე 2-2
მუსკრონი — ბევერენი 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენტი | 11 | 8 | 2 | 1 | 21-11 | 26 |
| ბრიუგე | 10 | 8 | 1 | 1 | 25-10 | 25 |
| გენკი | 11 | 7 | 3 | 1 | 32-14 | 24 |
| ანდერლეხტი | 10 | 5 | 3 | 2 | 21-12 | 18 |
| სტანდარდი | 10 | 5 | 3 | 2 | 17-9 | 18 |
| სტ. ტრუიდენი | 11 | 5 | 3 | 3 | 21-17 | 16 |
| ბეერსხოტი | 11 | 4 | 4 | 3 | 24-17 | 16 |
| ლოკერენი | 10 | 5 | 1 | 4 | 15-10 | 16 |
| აალსტი | 11 | 5 | 1 | 5 | 12-21 | 16 |
| შარლერუა | 10 | 4 | 2 | 4 | 10-14 | 14 |
| ლიერსი | 11 | 3 | 4 | 4 | 13-15 | 13 |
| ლომელი | 11 | 3 | 4 | 4 | 20-26 | 13 |
| მუსკრონი | 11 | 4 | 0 | 7 | 17-15 | 12 |
| ვესტერლო | 10 | 3 | 1 | 6 | 15-17 | 10 |
| მოლენბეკი | 11 | 3 | 1 | 7 | 11-18 | 10 |
| ანტვერპენი | 11 | 2 | 2 | 7 | 15-21 | 8 |
| ბევერენი | 11 | 1 | 3 | 7 | 9-30 | 6 |
| ლუვიე | 11 | 1 | 2 | 8 | 11-27 | 5 |

## ჩეხეთი

ტეპლიცე — სპარტა 0-1
ბანიკი — ლიბერეცი 0-0
დრნოვიცე — სიგმა 0-1
პრ. კრალოვე — ჟიჟკოვი 1-2
იაბლონეცი — პრჟიბრამი 1-0
ბოჰემიანსი — სინოტი 2-1
ბრნო — ბლშანი 2-1
სლავია — ოპავა 5-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 12 | 10 | 0 | 2 | 23-6 | 30 |
| ჟიჟკოვი | 12 | 9 | 1 | 2 | 21-8 | 28 |
| ბოჰემიანსი | 12 | 8 | 3 | 1 | 20-7 | 27 |
| ბანიკი | 12 | 6 | 3 | 3 | 19-14 | 21 |
| ლიბერეცი | 12 | 5 | 5 | 2 | 17-11 | 20 |
| სლავია | 12 | 6 | 1 | 5 | 22-18 | 19 |
| ბრნო | 12 | 5 | 4 | 3 | 15-15 | 19 |
| იაბლონეცი | 12 | 4 | 3 | 5 | 10-12 | 15 |
| დრნოვიცე | 12 | 4 | 2 | 6 | 15-14 | 14 |
| სინოტი | 12 | 3 | 4 | 5 | 10-15 | 13 |
| სიგმა | 12 | 3 | 4 | 5 | 11-17 | 13 |
| პრ. კრალოვე | 12 | 4 | 1 | 7 | 14-25 | 13 |
| ტეპლიცე | 12 | 3 | 3 | 6 | 13-17 | 12 |
| პრჟიბრამი | 12 | 3 | 2 | 7 | 10-18 | 11 |
| ბლშანი | 12 | 3 | 1 | 8 | 18-24 | 10 |
| ოპავა | 12 | 1 | 1 | 10 | 10-27 | 4 |

## პოლონეთი

A ჯგუფი

ზაგლებე — ვისლა 3-4
კატოვიცე — გურნიკი 1-0
ოდრა — პოლონია 3-0
ვიძევი — ოსტროვეცი 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოდრა | 13 | 9 | 1 | 3 | 25-14 | 28 |
| ვისლა | 13 | 8 | 1 | 4 | 25-15 | 25 |
| პოლონია | 13 | 6 | 4 | 3 | 22-13 | 22 |
| კატოვიცე | 13 | 5 | 3 | 5 | 17-20 | 18 |
| ზაგლებე | 13 | 5 | 2 | 6 | 21-26 | 17 |
| ოსტროვეცი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-15 | 15 |
| ვიძევი | 13 | 3 | 2 | 8 | 9-21 | 11 |
| გურნიკი | 13 | 2 | 4 | 7 | 11-20 | 10 |

B ჯგუფი

გროცლინი — პოგონი 2-0
შლიონსკი — რუხი 1-0
ლეგია — სტომილი 2-0
ამიცა — რადომსკო 5-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 13 | 7 | 3 | 3 | 28-14 | 24 |
| პოგონი | 13 | 7 | 3 | 3 | 20-13 | 24 |
| ამიცა | 13 | 6 | 5 | 2 | 24-14 | 23 |
| რუხი | 13 | 5 | 3 | 5 | 14-16 | 18 |
| შლიონსკი | 13 | 5 | 3 | 5 | 21-24 | 18 |
| გროცლინი | 13 | 4 | 2 | 7 | 18-23 | 14 |
| რადომსკო | 13 | 3 | 4 | 6 | 9-16 | 13 |
| სტომილი | 13 | 2 | 3 | 8 | 10-24 | 9 |




სპარტაკი ჩემპიონია!

## თურქეთი

ქაჯოელი — დიარბაქი 3-1
იოზგათი — ბურსა 3-4
მალათია — ფენერბახჩე 1-3
რიზე — გიოზთეფე 0-0
გალათასარაი — ტრაბზონი 3-1
ისთანბული — გაზიანთეფი 0-1
ანკარა — სამსუნი 2-0
ანთალია — გენჩლერბირ 2-2
დენიზლი — ბეშიქთაში 3-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 10 | 8 | 2 | 0 | 26-10 | 26 |
| ფენერბახჩე | 10 | 7 | 1 | 2 | 21-12 | 22 |
| ისთანბული | 10 | 7 | 1 | 2 | 9-4 | 22 |
| ქოჯაელი | 10 | 5 | 3 | 2 | 19-13 | 18 |
| გაზიანთეფი | 10 | 5 | 2 | 3 | 12-10 | 17 |
| გიოზთეფე | 10 | 4 | 4 | 2 | 10-10 | 16 |
| ბურსა | 10 | 5 | 1 | 4 | 14-19 | 16 |
| ბეშიქთაში | 10 | 4 | 3 | 3 | 24-18 | 15 |
| ტრაბზონი | 10 | 4 | 1 | 5 | 17-15 | 13 |
| დენიზლი | 10 | 3 | 3 | 4 | 19-12 | 12 |
| ანთალია | 10 | 3 | 3 | 4 | 17-25 | 12 |
| გენჩლერბირლ. | 10 | 2 | 5 | 3 | 21-22 | 11 |
| სამსუნი | 10 | 3 | 2 | 5 | 10-15 | 11 |
| ანკარა | 10 | 3 | 1 | 6 | 26-21 | 10 |
| რიზე | 10 | 2 | 4 | 4 | 13-16 | 10 |
| დიარბაქირი | 10 | 2 | 2 | 6 | 15-22 | 8 |
| იოზგათი | 10 | 2 | 2 | 6 | 12-21 | 8 |
| მალათია | 10 | 1 | 0 | 9 | 5-25 | 3 |

## შოტლანდია

აბერდინი — ჰართსი 3-2
სელტიკი — კილმარნოკი 1-0
დანდი იუნ. — მოზერუელი 1-1
დანფერმლაინი — სტ.ჯონსტონი 2-1
ჰიბერნიანი — დანდი 1-2
ლივინგსტონი — რეინჯერსი 0-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 12 | 11 | 1 | 0 | 29-4 | 34 |
| რეინჯერსი | 12 | 8 | 3 | 1 | 29-9 | 27 |
| ლივინგსტონი | 12 | 5 | 5 | 2 | 16-10 | 20 |
| აბერდინი | 12 | 6 | 2 | 4 | 21-19 | 20 |
| ჰიბერნიანი | 12 | 5 | 2 | 5 | 24-19 | 17 |
| დანდი იუნ. | 12 | 4 | 3 | 5 | 15-24 | 15 |
| კილმარნოკი | 12 | 4 | 2 | 6 | 13-18 | 14 |
| დანდი | 11 | 4 | 2 | 5 | 11-19 | 14 |
| ჰართსი | 12 | 4 | 1 | 7 | 15-17 | 13 |
| დანფერმლაინი | 12 | 4 | 0 | 8 | 18-26 | 12 |
| მოზერუელი | 11 | 2 | 4 | 5 | 14-22 | 10 |
| სტ. ჯონსტონი | 12 | 0 | 3 | 9 | 8-26 | 3 |

## შვეიცარია

სტ. გალენი — გრასჰოპერსი 0-0
ბაზელი — ქსამაქსი 5-1
სერვეტი — ლუცერნი 2-0
ლოზანა — ლუგანო 1-2
სიონი — იანგ ბოისი 1-0
ციურიხი — არაუ 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 17 | 10 | 3 | 4 | 42-29 | 33 |
| სერვეტი | 17 | 8 | 5 | 4 | 30-20 | 29 |
| სტ. გალენი | 17 | 8 | 5 | 4 | 33-27 | 29 |
| ლუგანო | 17 | 8 | 4 | 5 | 30-27 | 28 |
| სიონი | 17 | 8 | 3 | 6 | 30-21 | 27 |
| იანგ ბოისი | 17 | 7 | 5 | 5 | 32-23 | 26 |
| გრასხოპერსი | 17 | 7 | 3 | 7 | 34-26 | 24 |
| არაუ | 17 | 6 | 6 | 5 | 23-21 | 24 |
| ციურიხი | 17 | 6 | 6 | 5 | 19-22 | 24 |
| ქსამაქსი | 17 | 5 | 5 | 7 | 23-27 | 20 |
| ლუცერნი | 17 | 3 | 2 | 12 | 18-47 | 11 |
| ლოზანა | 17 | 2 | 3 | 12 | 16-40 | 9 |

## დანია

ლინგბიუ — ოდენსე 2-3
სილკებორგი — ვიბორგი 1-1
ვაილე — ოლბორგი 4-2
ორჰუსი — ბრონდბიუ 1-2
კოპენჰაგენი — მიდტიულანდი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 14 | 10 | 3 | 1 | 34-7 | 33 |
| ოლბორგი | 14 | 8 | 2 | 4 | 24-22 | 26 |
| კოპენჰაგენი | 14 | 7 | 4 | 3 | 21-12 | 25 |
| ესბიერგი | 13 | 8 | 1 | 4 | 21-19 | 25 |
| ოდენსე | 14 | 6 | 3 | 5 | 21-20 | 21 |
| აკადემისკი | 13 | 5 | 5 | 3 | 20-13 | 20 |
| მიდტიულანდი | 14 | 4 | 7 | 3 | 16-13 | 19 |
| ვეილე | 13 | 3 | 4 | 6 | 18-29 | 13 |
| ვიბორგი | 13 | 2 | 6 | 5 | 14-22 | 12 |
| ლინგბიუ | 14 | 2 | 5 | 7 | 15-24 | 11 |
| ორჰუსი | 14 | 2 | 5 | 7 | 14-24 | 11 |
| სილკებორგი | 14 | 0 | 4 | 10 | 10-28 | 4 |

## შვედეთი

აიკ — მალმიო 2-0
სუნდსვალი — ჰამარბი 1-0
ჰალმსტადი — ჰეკენი 2-2
ჰელსინგბორგი — გიოტებორგი 3-0
ელფსბორგი — ნორჩიოპინგი 1-0
ტრელებორგი — დურგარდენი 0-3
იორგერიტე — ერებრო 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 26 | 14 | 6 | 6 | 45-28 | 48 |
| დურგარდენი | 26 | 13 | 8 | 5 | 36-24 | 47 |
| აიკ | 26 | 12 | 9 | 5 | 45-29 | 45 |
| გიოტებორგი | 26 | 12 | 8 | 6 | 41-31 | 44 |
| ჰელსინგბორგი | 26 | 11 | 9 | 6 | 47-29 | 42 |
| იორგრიტე | 26 | 10 | 9 | 7 | 36-33 | 39 |
| ჰალმშტადი | 26 | 10 | 8 | 8 | 50-31 | 38 |
| ერებრო | 26 | 8 | 9 | 9 | 48-44 | 33 |
| მალმიო | 26 | 9 | 5 | 12 | 39-46 | 32 |
| ელფსბორგი | 26 | 9 | 3 | 14 | 31-51 | 30 |
| სუნდსვალი | 26 | 7 | 8 | 11 | 28-37 | 29 |
| ნორჩოპინგი | 26 | 7 | 8 | 11 | 29-40 | 29 |
| ჰეკენი | 26 | 5 | 9 | 12 | 35-50 | 24 |
| ტრელებორგი | 26 | 3 | 5 | 18 | 25-62 | 14 |

ჰამარბი გახდა ჩემპიონი.

## ნორვეგია



რენი — ლანსი

ბრანი — რუსენბორგი 2-6
ლილესტრიომი — ტრომსიო 3-1
ლინი — ბრინი 1-3
ოდ გრენლანდი — სტრიომგოდსეტი 4-2
სოგნდალი — ბოდო გლიმტი 3-2
სტაბეკი — მოსი 2-1
ვიკინგი — მოლდე 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 26 | 17 | 6 | 3 | 71-30 | 57 |
| ლილესტრიომი | 26 | 17 | 5 | 4 | 64-33 | 56 |
| ვიკინგი | 26 | 14 | 7 | 5 | 43-29 | 49 |
| სტაბეკი | 26 | 14 | 3 | 9 | 45-39 | 45 |
| მოლდე | 26 | 13 | 5 | 8 | 54-41 | 44 |
| ოდ გრენლანდი | 26 | 12 | 6 | 8 | 50-40 | 42 |
| ბრანი | 26 | 12 | 5 | 9 | 63-48 | 41 |
| სოგნდალი | 26 | 9 | 5 | 12 | 45-59 | 32 |
| ბოდო გლიმტი | 26 | 7 | 8 | 11 | 45-47 | 29 |
| მოსი | 26 | 9 | 2 | 15 | 35-48 | 29 |
| ლინი | 26 | 6 | 8 | 12 | 40-49 | 26 |
| ბრინი | 26 | 6 | 4 | 16 | 33-61 | 22 |
| სტრიომგოდსეტ | 26 | 3 | 10 | 13 | 40-73 | 19 |
| ტრომსიო | 26 | 4 | 4 | 18 | 23-52 | 16 |

რუსენბორგი გახდა ჩემპიონი.

## ფინეთი

ატლანტისი — როვანიემი 4-0
ჰიკი — ჰაკა 1-1
ინტერი — კუოპიო 2-3
მიუპა — იოკერიტი 0-0
ტამპერე — ჯაზი 1-0
ვაასა — ლაჰტი 0-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 33 | 21 | 5 | 7 | 47-31 | 68 |
| ჰიკი | 33 | 19 | 10 | 4 | 64-19 | 67 |
| მიუპა | 33 | 17 | 11 | 5 | 45-23 | 62 |
| ჰაკა | 33 | 14 | 10 | 9 | 44-29 | 52 |
| ინტერი | 33 | 14 | 4 | 15 | 44-46 | 46 |
| ვაასა | 33 | 14 | 3 | 16 | 50-52 | 45 |
| ატლანტისი | 33 | 12 | 9 | 12 | 45-47 | 45 |
| კუოპიო | 33 | 9 | 10 | 14 | 37-48 | 37 |
| ლაჰტი | 33 | 9 | 9 | 15 | 38-48 | 36 |
| ჯაზი | 33 | 7 | 11 | 15 | 36-52 | 32 |
| იორკერიტი | 33 | 7 | 7 | 19 | 31-56 | 28 |
| როვანიემი | 33 | 5 | 9 | 19 | 25-56 | 24 |

ტამპერე გახდა ჩემპიონი.

## რუსეთი

ჩერნომორეცი — სოკოლი 1-3
სპარტაკი — ზენიტი 3-1
როტორი — ლოკომოტივი 1-3
როსტსელმაში — ანჟი 3-2
ტორპედო ზილი — ალანია 1-1
სატურნი — ტორპედო 0-1
ფაკელი — კრილია სოვეტოვი 1-0
დინამო — ცსკა 3-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 28 | 17 | 8 | 3 | 53-26 | 59 |
| ზენიტი | 29 | 15 | 8 | 6 | 50-34 | 53 |
| ლოკომოტივი | 28 | 15 | 7 | 6 | 51-23 | 52 |
| ტორპედო | 28 | 14 | 6 | 8 | 50-50 | 48 |
| სატურნი | 29 | 13 | 8 | 8 | 45-20 | 47 |
| კრილია სოვეტ. | 29 | 13 | 7 | 9 | 36-23 | 46 |
| ცსკა | 29 | 11 | 11 | 7 | 37-30 | 44 |
| სოკოლი | 29 | 12 | 5 | 12 | 31-40 | 41 |
| დინამო | 29 | 9 | 8 | 12 | 37-49 | 35 |
| როტორი | 29 | 8 | 7 | 14 | 38-42 | 31 |
| როსტსელმაში | 28 | 8 | 7 | 13 | 29-40 | 31 |
| ანჟი | 28 | 7 | 10 | 11 | 28-32 | 31 |
| ალანია | 29 | 7 | 8 | 14 | 28-47 | 29 |
| ფაკელი | 29 | 8 | 4 | 17 | 28-47 | 28 |
| ტორპ. ზილი | 28 | 6 | 10 | 12 | 20-34 | 28 |
| ჩერნომორეცი | 29 | 5 | 8 | 16 | 18-52 | 23 |

სპარტაკი გახდა ჩემპიონი.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## სტადიონები რიგში დგანან...

უეფამ გამოაქვეყნა იმ სტადიონების ნუსხა, რომლებსაც პრეტენზია აქვთ უმასპინძლონ ჩემპიონთა ლიგის მატჩებს 2003 წელს. დანარჩენებთან ერთად სიაში ფიგურირებს მოსკოვის „ლუჟნიკის" სტადიონი. მოსალოდნელია, რომ ფიფა თავის საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანს 12-13 დეკემბერს წლეულს. მატჩები კი 2003 წლის 28 მაისს ჩატარდება.

პრეტენდენტ სტადიონებს შორის არიან:

**„ოლდ ტრაფორდი"** — მანჩესტერი, ინგლისი (64 816 მაყურებლისთვის)

**„მუფ შალკე"** — გელზენკირხენი, გერმანია (62 000)

**„ახლ-არენა"** — ჰამბურგი, გერმანია (50 100)

**„გოტლიბ დაიმლერი"** — შტუტგარტი, გერმანია (50 297)

**„ფეიენოორდი"** — როტერდამი, ჰოლანდია (52 000)

**„არენა"** — ამსტერდამი, ჰოლანდია (51 620)

**„ლუჟნიკი"** — მოსკოვი, რუსეთი (84 000)

**„სანტიაგო ბერნაბეუ"** — მადრიდი, ესპანეთი (74 382)

უეფას 2002-2003 წლების თასის ფინალური მატჩების, პრეტენდენტები კი არიან:

„ვილა-პარკი" — ბირმინგემი, ინგლისი (45 000)

„სტად დე ფრანსი" — სენ დენი, საფრანგეთი (78 782)

„ოალ — არენა" — ჰამბურგი, გერმანია (50 100)

„გოტლიბ — დაიმლერი" — შტუტგარტი, გერმანია (50 297)

„გელრედომი" — არნემი, ჰოლანდია (29 537)

„ფილიპსი" — ეინდჰოვენი, ჰოლანდია (33 225)

„ოლიმპიკო" — სევილია, ესპანეთი (74 382)

„ულევი" — გეტებორგი, შვეცია (43 000)

## ვითომ დაუჯერებელია?


ნევიო სკალა

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან მსოფლიო საფეხბურთო სამყაროში ინტეგრაციამ ბოლო წლებში მწვრთნელთა არეალიც მოიცვა. რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი უცხოელი ფეხბურთის სპეციალისტი ჩნდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ახლა გამოქვეყნდა ცნობა, რომ დონეცკის „შახტიორში" სულ მალე შეიძლება მთავარ მწვრთნელად ცნობილი იტალიელი სპეციალისტი ნევიო სკალა ვიხილოთ. კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ ყველაფერი იქით მიდის, რომ კითხვის ნიშანი მალე მოიხსნება და თითქოს დაუჯერებელი რამ, რეალობად იქცევა. სკალამ ეს დღეები უკრაინაში გაატარა და ხალხშიც გამოჩნდა „შახტიორის" პრეზიდენტ რინატ ახმეტოვთან ერთად. ეს მოხდა იმ დღეს, როცა დონეცკელებმა უკრაინის თასზე ალჩევსკის „სტალიუს" სძლიეს 3-0.

ყველაზე მაღალი კლასის ევროპელი სპეციალისტის მოწვევის იდეა „შახტიორის" ყოველი წარუმატებელი მატჩის შემდეგ უფრო და უფრო მწიფდებოდა. მით უმეტეს, რომ გუნდის თავკაცი ვიქტორ პროკოპენკო გადადგა. დონეცკელებმა არც მეტი, არც ნაკლები, მიზანში ამოიღეს ანჩელოტი, საკი, დაუმი, მლადენოვი, კატანეცი და სკალა. რა პრინციპით მოხდა შერჩევა ამ სიიდან, უცნობია. მთავარია ის, რომ ამ ხუთეულიდან სკალა უკვე გამოჩნდა დონეცკში.

## რუსეთი ხელოვნურ საფარიან მოედნებს გააშენებს

**უკვე მომავალი წლიდან, რუსეთის საფეხბურთო მატჩები შეიძლება ხელოვნურ საფარიან მოედნებზე ჩატარდეს. მთავარი პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ ფიფა ასეთ მინდვრებზე თამაშის უფლებას იძლევა, უეფა — ჯერჯერობით არა! „ეს ნამდვილი პარადოქსია" — განაცხადა რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალურმა მდივანმა ვლადიმირ როდიონოვმა. „იმედია, ფიფა ამ შეუსაბამობას ბოლოს მოუღებს" — დასძინა მან. ვარაუდობენ, რომ, უეფა ნოემბრის ბოლოს ალმასკომის სხდომაზე მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას და უეფას ეგიდით მატჩების ხელოვნურ მინდორზე ჩატარების ნებას დართავს. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, სინთეტურ საფარიან მინდვრებს რუსეთში 2 თვეში გააშენებენ. აქედან ერთი თვე დასჭირდება წინასწარი სამუშაოების მომზადებას. დავძენთ, რომ ასეთი მოედნები საშუალოდ 7-10 წელიწადი გაძლებს.**

## გარდაიცვალა ყვითელი და წითელი ბარათების ავტორი

დიდ ბრიტანეთში 86 წლისა გარდაიცვალა არბიტრი — კენ ასტონი, რომელმაც 60-იან წლებში წინადადება შეიტანა ფეხბურთელთა დისციპლინარული სასჯელისთვის, უშუალოდ თამაშის პროცესში შემოეღოთ ყვითელი და წითელი ბარათები.

ეს აზრი არბიტრს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩი ინგლის-არგენტინას შორის ყველაზე უხეშობით აღინიშნა და შინ დაბრუნებულმა ასტონმა მანქანა გააჩერა წითლად ანთებულ შუქნიშანთან. როგორც ფიფას სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარემ, ამ საფეხბურთო ორგანიზაციის ხელმძღვანელობას მან შესთავაზა, მსაჯებს, მატჩების მომსახურებისას ესარგებლათ ორი ფერის — ყვითელი და წითელი ბარათებით, უხეშობისთვის მოთამაშეთა გასაფრთხილებლად და მინდვრიდან გასაძევებლად. მისი იდეა, სხვა სიახლეებთან ერთად, პირველად დანერგეს პრაქტიკაში 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მექსიკაში.

თავის სამსაჯო კარიერაში ასტონს ბევრი დრამატული შემთხვევა გადახდა თავს. ერთ-ერთი იყო მატჩი 1962 წელს ჩილეში, მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელსა და იტალიის ნაკრებებს შორის, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც „სანტიაგოს ბრძოლა". იტალიელთა კაპიტანს ხუმბერტო მასჩიოს ცხვირი გაუტყდა ჩილელ ლიონელ სანჩესის „შეტევის" შემდეგ, რომელმაც მეტოქეს დარტყმა მიაყენა „კონგ ფუს" სტილით. მატჩის მსვლელობისას პოლიცია სამჯერ გახდა იძულებული შესულიყო მინდორზე, რათა აღეკვეთა მეტოქეთა შორის წამოწყებული ჩხუბი.

„მე ვიყავი იმ მატჩის მსაჯი, მაგრამ, ფაქტობრივად, ვასრულებდი შუამავალ-გამზავებლის ფუნქციას" — იხსენებდა შემდეგ კენ ასტონი. ის მატჩი ჩილელებმა მოიგეს 2-0.

ბარათების გარდა, წესების დარღვევისთვის ასტონის წინადადების წყალობით, მსაჯები შემოსეს ერთიანი შავი ფორმით, ლაინსმენების ატრიბუტი გახდა მკაფი, ყველა მხრიდან ადვილად შესამჩნევი ალმები, მსაჯთა ბრიგადა კი შეივსო მეოთხე მსაჯით, რომლებსაც ეკისრებათ ტექნიკური ფუნქცია.

„რია ნოვოსტი"

# „კედელი" ექტორ სკარონემ გამოიგონა

***ვაგრძელებთ სერიას XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელების შესახებ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ისტორიისა და სტატისტიკის ვერსიით***



ამჯერად ლაპარაკი იქნება 20-იანი წლების ურუგვაელი ფეხბურთელების დიდებული გუნდის ერთ-ერთ წარმომადგენელზე. ისე, იმ თაობის ფეხბურთელთა უმრავლესობა, კერძოდ, სეა, პეტრონე, რომანო, კასტრო, პენდიბენე, ნაზაცი, ანდრადე, სკარონე — დიდი ხანია ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ მათ სახელებს კვლავინდებურად უდიდესი პატივისცემით მოიხსენიებენ ურუგვაიში. ხოსე ლეონარდო ანდრადე ყველაზე პოპულარული იყო ევროპაში იმ პლეადის მოთამაშეთა შორის და XX საუკუნის მსოფლიო რეიტინგით 29-ე ადგილი ერგო. აი, თვით ურუგვაიში კი ყველაზე მეტ პატივს მიაგებდნენ ექტორ სკარონეს, რომელსაც მე-40 ადგილი ეკავა რეიტინგში. მის სამშობლოში იმ აზრისანი არიან, რომ იგი ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

სკარონეს კარიერაში რამდენიმე გლობალური მასშტაბის მომენტი აღინიშნა. პირველ ყოვლისა, მას ეკუთვნის „ოქროს" გოლი 1928 წლის ოლიმპიადაზე. მეორეც, ისტორიაში შევიდა „კედლის" კომბინაციის ავტორად. და ბოლოს, იგი 55 (!) წლისაც გამოდიოდა ურუგვაის პირველი დივიზიონის მატჩებში, რაც, ალბათ, მსოფლიო რეკორდია.

### „ნასიონალში" ბიძაშვილი შეცვალა

სკარონემ თამაში დაიწყო მონტევიდეოს იმ რაიონის გუნდში, რომელშიც იგი ცხოვრობდა. გუნდს „სპორტსმენი" ერქვა და ურუგვაის მესამე დივიზიონში გამოდიოდა. 14 წლის ექტორმა სცადა „ნასიონალში" ჩარიცხულიყო, მაგრამ იქ ჩათვალეს, რომ სათანადო ფიზიკური მომზადება არა აქვს და უარი უთხრეს. ჭაბუკი მერე სათანადოდ განვითარდა და ნამდვილ ათლეტად იქცა.

მას „ნასიონალთან" შედარებით რანგით დაბალი, მონტევიდეოს გუნდი იწვევდა, მაგრამ ექტორმა უარი შეუთვალა და „სპორტსმენში" დაბრუნდა.

ერთი წლის შემდეგ, 15-ის რომ გახდა, „ნასიონალმა" მაინც ჩარიცხა თავის რიგებში, ექტორმა კლუბის მეორე გუნდით დაიწყო და ხუთი მატჩის შემდეგ პირველში გადაიყვანეს. საინტერესო ის იყო, რომ მან ბიძაშვილი კარლოს სკარონე შეცვალა, რომელმაც ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტს" მიაშურა. მას „ნასიონალში" ის იზიდავდა, რომ იქ მისი ძმა თამაშობდა, ისწრაფოდა მასთან ერთად ეთამაშა. მაგრამ ნათესავური დუეტი არ შედგა.

### გარდელს ადარებდნენ

„ნასიონალში", შემდეგ კი ურუგვაის ნაკრებში, ექტორ სკარონემ მარჯვენა შუამარბის ადგილი დაიკავა და ცენტრფორვარდ პედრო პეტრონესთან ერთად ვარსკვლავური წყვილი შექმნა. ითვლება, რომ სწორედ ეს წყვილი იყენებდა რეგულარულად შეტევაში „კედელს" — ილეთი, რომელსაც შემდეგ მიმართავდნენ მეაცა-სკიავიო „ინტერში", დისტეფანო-მათეოსი „რეალში" და პელე — კუტინიო „სანტოსში".

სკარონეზე ლაპარაკობდნენ, როგორც მომხიბლავ და თავმდაბალ ადამიანზე. გამოარჩევდნენ, როგორც დახვეწილი ტექნიკის ფეხბურთელს. პეტრონე მას ცნობილ მოცეკვავეს ადარებდა: „ექტორი გარდელივითაა. შეიძლება მიბაძო, მაგრამ გამეორება, ნურას უკაცრავად". პრესა მას „ძელის საშინელებად" მოიხსენიებდა — ალბათ, იმიტომ, რომ ხშირად გოლების გატანასთან ერთად კარის ძელსა და ხარიხასაც „ხვდებოდა" მისგან.

1919 წელს სკარონე პირველად გაემგზავრა საზღვარგარეთ, მაგრამ „ნასიონალთან" კი არა — „დუბოიანთან" ერთად, რომელიც ბრაზილიის ტურნესათვის გაძლიერდა მისით. გუნდმა ყველა მატჩი მოიგო, ექტორის თამაშმა კი, აღაფრთოვანა ბრაზილიელები, და ამან მისი ნაკრებში მიწვევა დააჩქარა. „სელესტეში" სკარონეს დებიუტი 1919 წელს შედგა ამერიკის თასზე, რომელიც ბრაზილიაში ჩატარდა.

სკარონე 11 წლის განმავლობაში პრაქტიკულად შეუცვლელად გამოდიოდა ურუგვაის ნაკრებში. მისი შემადგენლობიდან გამოვიდა 1925 წელს, და ისიც აპენდიციტის ოპერაციის გამო. მწყობრში დაბრუნების შემდეგ, 1926 და 1927 წლებში, ამერიკის თასების (ურუგვაელებმა მოიგეს) საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

1927 წელსვე იგი „ბარსელონამ" მიიწვია. სკარონემ, რომლისთვისაც 30 000 ურუგვაული პესო გადაიხადეს (იმ დროისათვის ძალიან დიდი თანხა: მაშინ პესო ამერიკული დოლარის ექვივალენტი იყო), პროფესიონალის სტატუსი მიიღო. ამ შემთხვევის გამო ბრილიანტებით მოოჭვილი დიდი ბეჭედი აჩუქეს.

უნდა ითქვას, რომ ეს სოლიდური თანხა, რომელიც მასში გადაიხადეს, და ძვირფასი საჩუქრები მან არ გაამართლა, ვინაიდან სულ მალე ნოსტალგიამ შეიპყრო და ექვსი თვის შემდეგ შინ გაიქცა — „ნასიონალში". „ბარსაში" მხოლოდ 9 შეხვედრა ჩაატარა, ლურჯ-მეწამულთა თავდასხმის ლიდერ სამიტიეროსთან წყვილში გამოდიოდა.

ოქროს ბეჭედი მის თილისმად იქცა. იგი თან ჰქონდა 1951 წელსაც, როცა მეორედ მოგვევლინა ესპანეთს — „რეალის" მწვრთნელად. მის თითზე ძვირფასი სამკაული ყველას მეოთხედი საუკუნის წინანდელ ისტორიას ახსენებდა. ამ ბეჭედითვე დაასაფლავეს სკალონე 1967 წელს.

### ოლიმპიური ოქროს გოლი

1928 წელს ურუგვაის, ამსტერდამში, ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული უნდა დაეცვა. ფიფა ოლიმპიურ ნაკრებებს „ბოჭავდა", მონაწილეობას უკრძალავდა, ვისაც ფეხბურთით რაიმე შემოსავალი ჰქონდა. სკარონეს ეშინოდა, რომ არ დაუშვებდნენ სათამაშოდ, — იგი ხომ, ცოტა ხანს, მაგრამ მაინც პროფესიონალი იყო.

საბედნიეროდ, საქმე აქამდე არ მისულა, და დამატებით ფინალურ მატჩში არგენტინელების წინააღმდეგ ექტორმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა — 2-1, ეს შეხვედრის 73-ე წუთზე მოხდა. მისმა პარტნიორმა ბორხმასმა მეტოქის საჯარიმო მოედნამდე „ათრია" ბურთი, როცა იგრძნო, რომ ვეღარ გაუმკლავდებოდა მხრებზე ჩამოკიდებულ ორ „მეურვეს", სკარონეს გაუგორა ბურთი: „შენია, ექტორ!" სკარონემ არ დააყოვნა, ვარდნაში დაარტყა და ბურთი ბადეში შეფართხალდა.

### მსუნაგობა ლამის ძვირად დაუჯდა

1930 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც მის სამშობლოში ჩატარდა, სკარონემ ერთადერთი გოლი შააგდო — რუმინეთთან ჯგუფურ ეტაპზე. მაგრამ დიდი როლი შეასრულა არგენტინელებთან ფინალურ მატჩში, ურუგვაელთა პირველი ორი გოლი მისი წყალობით გავიდა.

მე-12 წუთზე სკარონეს კარში დარტყმული ბურთი მცველ პატერნოსტენას მოხვდა და დაბრუნდა, მას ურუგვაელი დორანდო დაეუფლა, რომელმაც ფეხებში გაუძვრინა მეკარე ბოტასოს და კარში გავიდა. ასე გაიხსნა ანგარიში. არგენტინელებმა შესვენებამდე ორი გოლი გაიტანეს და დაწინაურდნენ. შესვენების შემდეგ კი, იმავე მე-12 წუთზე, სკარონემ ხელთ იგდო ბურთი და ოსტატურად გადააწოდა სეას, რომლის დარტყმამ მიზანს მიაღწია. ანგარიში გათანაბრდა, შემდეგ ურუგვაიმ საბოლოოდ დაჯაბნა მეტოქე — 4-2.

სკარონე იხსენებდა, რომ მათთვის ყველაზე მძიმე მატჩები იყო პირველი და ბოლო. პერუელებმა, ურუგვაის პირველმა მეტოქემ, მოულოდნელად, ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს, რომლებსაც ერთადერთი გოლის წყალობით სძლიეს. სხვათა შორის, იმ მატჩში სკარონეს არ უთამაშია. ალბათ, ამიტომ გამოდგა ძნელი იგი.

— „ფინალის" დღეს, — იხსენებდა მერე სკარონე, ოტელის ბინადრებმა, რომელშიც გუნდი ცხოვრობდა, გულუხვი სადილი გამართეს. უარის თქმა უხერხული იყო. ამის შედეგად არგენტინელებთან „სავსე მუცლებით" გამოვედით, ძალიან გაგვიჭირდა. მეტი რა გზა იყო, ხომ არ გავაწბილებდით ჩვენზე მლოცველ ქვეყანას. არა გვქონდა უფლება რომ არ მოგვეგო!"

### ფეხბურთის მათუსალა

არგენტინელებთან ფინალი 64-ე და ბოლო მატჩი იყო სკარონესათვის ნაკრების შემადგენლობაში. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ახალი ევროპული „თავგადასავალი" წამოიწყო. „ნასიონალში" მე-8 ჩემპიონობა მოიპოვა და 1931 წელს იტალიის „ინტერთან" (მაშინ „ამბროზიანო" ერქვა) კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„ამბროზიანოში" სკარონე პირველ „ორიუნდოდ" — იტალიური წარმოშობის ლეგიონერად იქცა. სწორედ ასეთ უცხო ტომის წარმომადგენლებს ჰქონდათ ფასი მუსოლინისდროინდელ კალჩოში (ფეხბურთში). სერია „A"-ში ფულის შოვნის უფლების მოსაპოვებლად, სკარონეს იტალიურ გვართან ერთად კიდევ ამ ქვეყანასთან გვარტომობითი კავშირიც სჭირდებოდა, ნაჩვენება საბუთები, რომ მამამისი დაბადებულა გენუის მახლობლად, ქ. დეგოში, ექტორს თამაშის უფლება დართეს.

1931-32 წლების სეზონის 14 მატჩში გაიტანა 7 გოლი. „ლაციოსთან" შეხვედრაში ყუმბარისებური დარტყმული ბურთი მოხვდა და ცხვირიდან სისხლი წასკდა, მაგრამ სკარონე მინდორზე დარჩა, თამაში არ მიუტოვებია და დუბლიც შეძლო, გულშემატკივრებმა ამისათვის „გარიბალდი" შეარქვეს.

1932 წლის ზაფხულში „ლაციოში" გადავიდა და იქ ორი სეზონი დაჰყო, შესაბამისად გაიტანა 4 და 9 გოლი.

36 წლის სკარონე სამშობლოში დაბრუნდა და რამდენიმე თვე „ნასიონალში" ითამაშა. 1951-52 წლებში სათავეში ედგა მადრიდის „რეალს", 1953-ში კვლავ „ნასიონალს" დაუბრუნდა, სადაც მწვრთნელად ითვლებოდა, რამდენჯერმე გამოვიდა მინდორზე ურუგვაის ჩემპიონატის მატჩებში, მაშინ 55 წლისა იყო. სრულიად შესაძლებელია, რომ სკარონემ ამ თამაშში ხანდაზმულობის რეკორდი დაამყარა. მას დამსახურებულად შეიძლება ეწოდეს ფეხბურთის მათუსალა ხანდაზმულობით განთქმული ძველი აღქმური პატრიარქის ანალოგიით.

„ნასიონალში" გამოსვლისას 369 მატჩში შეაგდო 300 გოლი, მათ შორის 163 ბურთი ურუგვაის ჩემპიონატის 191 თამაშში. ეს ქვეყნის პირველობის ისტორიაში მესამე შედეგია, მეტი მხოლოდ ფერნანდო მორენისა (230) და ატილი გარსიას (208) აქვთ.

***ექტორ სკარონე***
***ურუგვაი. თავდამსხმელი.***
***სიმაღლე 171 სმ, წონა 73 კგ.***
***დაიბადა 1898 წლის 26 ნოემბერს.***
***გარდაიცვალა 1967 წლის 24 აპრილს.***
*კლუბები:* ***მონტევიდეოს „სპორტსმენი" (1912-14), მონტევიდეოს „ნასიონალი" (1914-26), „ბარსელონა" (1926), „ნასიონალი" (1926-31), მილანის „ინტერ-ამბროზიანო" (1931-32), „პალერმო" (1932-34), „ნასიონალი" (1953).***
***ურუგვაის ნაკრები (1919-30); 64 მატჩი. 1924-28 წლების ოლიმპიური ჩემპიონი, 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონი. ამერიკის თასის (1928-26 წლების) მფლობელი.***

## პროფესიული კრივი

### ტაისონს დანიაში გადასახლება სურს

დანიიდან მიღებული ინფორმაციით, სახელგანთქმულმა პროფესიონალმა მოკრივემ მაიკ ტაისონმა დანიაში ვეებერთელა ვილა შეიძინა და ამ ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლას გეგმავს. როგორც იცით, 13 ოქტომბერს ტაისონმა კოპენჰაგენში სძლია იქაურ ბრაიან ნილსენს. ტაისონს სწორედ ამ ვიზიტის დროს მოსწონებია დანია, განსაკუთრებით მისი ლამაზი, ქერა გოგონები.

სახლი, რომელიც ტაისონმა შეიძინა კოპენჰაგენის ჩრდილოეთით, განაპირა რაიონშია. ჯერჯერობით, მარტამდე, ამ შენობაში განთავსდება ტაისონის ევროპის რეზიდენცია. გაზაფხულის დასაწყისიდან, ყოფილი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გეგმავს რინგზე შეხვდეს ლენოქს ლუის-ხასიმ რახმანს შორის გამარჯვებულს.




### ლუისი – ტერაქტები-სგან დაზარალებულებს

პროფესიონალი მოკრივე ლენოქს ლიუისი მთელ თავის ჰონორარს, რომელსაც ის მიიღებს ხასიმ რახმანთან ბრძოლისთვის, მთლიანად შესწირავს აშშ-ში ტერაქტებისგან დაზარალებულებს. ამის თაობაზე ინგლისელმა მოკრივემ განაცხადა პრესკონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა მძიმე წონაში ხასიმ რახმანთან ლიუისის მატჩ-რევანშს. ეს შერკინება, როგორც ცნობილია, 17 ნოემბერს ჩატარდება ლას-ვეგასში. ამასთან, ლიუისი გეგმავს ამერიკის ქალაქებში გახსნას რამდენიმე ინტერნატი იმ ბავშვებისთვის, რომელთა მშობლები ტერაქტების შედეგად დაზარალდნენ.

### ლენოქს ლიუისი ბრალს სდებს მსაჯს

**ხასიმ რახმანთან თავისი დამარცხება ლენოქს ლიუისმა მსაჯს დააბრალა მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში, წლევანდელ აპრილში. ლიუისის მთავარი ბრალდება რეფერის წინააღმდეგ ის არის, რომ ძალიან ჩქარა ითვლიდა 10 წამს. „სწორედ ამის გამო, მე ვერ შევძელი ფეხზე წამოდგომა“ — თქვა ლიუისმა, რომელიც რახმანის მძიმე დარტყმის შემდეგ ნოკაუტში აღმოჩნდა. ამასთან, ინგლისელმა ამერიკელი მეტოქის მისამართით თქვა, რომ „რახმანს 37-დან, მართალია, 35 ბრძოლა აქვს მოგებული, მაგრამ იგი დილეტანტია პროფესიულ კრივში, რომ ის ნოკაუტი წმინდა შემთხვევითობა იყო“. ლას-ვეგასში (აშშ), ამ ორ მოკრივეს შორის, ახალი შეხვედრა სულ მალე, 17 ნოემბერს გაიმართება კრივის საერთაშორისო ფედერაციის („იბფ“) ეგიდით.**

### ალი ბაბა დამარცხდა

ტაილანდის ქალაქ ხენ იალში 50 კგ წონით კატეგორიაში ვბც-ეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად ტაილანდელი პანგსაკლეკ ვონხონგკამი (50-2) შეხვდა განელ ალექს ალი ბაბას (18-2). მერვე რაუნდში მეტოქეები მძლავრად შეასკდნენ ერთმანეთს თავით და მსოფლიოს ჩემპიონმა ველარ შეძლო ბრძოლის გაგრძელება. წესების შესაბამისად მსაჯებმა დაითვალეს წინა შვიდი რაუნდის შედეგები, სადაც გამარჯვებული აღმოჩნდა აზიელი (სურათზე მარჯვნივ).



### კარლო უნდილაშვილი



**68 წლის ასაკში, მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს მოჭიდავეთა სამყაროს ღირსეული წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი კარლო უნდილაშვილი.**

**სპორტთან დამეგობრება ქართული ჭიდაობის მადლით დაიწყო მშობლიურ მცხეთაში, პარალელურად გატაცებული იყო სამბოთი. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იქვე დაიწყო მუშაობა სპორტკომიტეტში, იმავე პერიოდში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და სამუშაოდ გადავიდა შს გორის რაიონულ განყოფილებაში. თუმცა, სპორტთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია — საქართველოს ორგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, სამბოში სხვადასხვა შეჯიბრებების არაერთგზის პრიზიორი გახდა. თავისუფალ დროს ბავშვთა ჯგუფებს ამეცადინებდა.**

**კარლო უნდილაშვილმა სახელოვნად განვლო გზა, როგორც სპორტში, ისე კანონის სადარაჯოზე. ბოლოს, გარდაცვალებამდე, მუშაობდა მცხეთის ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარედ. ჭაბუკობიდან სიცოცხლის ბოლომდე დარჩა სპორტის ერთგული, მუდამ ამ სამყაროში ტრიალებდა, ეწეოდა ქველმოქმედებას სპორტსმენთა დასახმარებლად. მას გამორჩეულად აფასებდა და პატივს სცემდა საქართველოს მოჭიდავეთა სამყარო, მცხეთის საზოგადოებრიობა, როგორც დიდბუნებოვან და მრავალი ადამიანური ღირსებებით შემკულ პიროვნებას, მუდამ გვერდში რომ ედგა ჭირსა თუ ლხინში თანამოძმეთ.**

**შესანიშნავი სპეციალისტის და მოქალაქის კარლო უნდიაშვილის ნათელი ხსოვნა წარუშლელად დარჩება მათ გულებში, ვინც მის ცხოვრებას და მოღვაწეობას ახლოს იცნობდა.**

საქართველოს სპორტის
სახელმწიფო დეპარტამენტი,
ქართული ჭიდაობის და სამბოს
ეროვნული ფედერაციები,
მცხეთის რაიონის საზოგადოებრიობა

პანაშვიდი. 30-31 X; დაკრძალვა 1.XI, 14 საათზე საგურამოში.

### ნბა-ს კლუბიდან გარიცხეს




ნბა-ს კლუბ „შარლოტას“ ხელმძღვანელობამ გუნდიდან გარიცხა კრის პორტერი იმის გამო, რომ იგი თვითმფრინავის დათქმული რეისით არ დაბრუნდა ოკლენადადან შარლოტში. თუმცა, ამ ორმეტრიან კალათბურთელს კანონთანაც ჰქონია კონფლიქტი (სიმთვრალეში მანქანის ტარება, მანქანაში აღმოჩენილი მარიხუანა და გაუფორმებელი პისტოლეტი). ეს მიზეზები საკმარისი აღმოჩნდა, რომ კონტრაქტი, რომელიც ამ სპორტსმენთან გაფორმდა, ერთი დღის შემდეგ შეწყვეტილიყო.

### ტიხონოვზე შეიძლება საერთაშორისო ძებნა გამოცხადდეს

როგორც ადრე ვიუწყებოდით, ოლიმპიური ჩემპიონი ბიატლონში ალექსანდრ ტიხონოვის ძმა ვიქტორი სამართალშია მიცემული ამან ტულაევზე თავდასხმისთვის. საქმეში წამოტივტივდა ვიქტორის უფროსი ძმის ალექსანდრეს მონაწილეობა ამ თავდასხმაში. ოლიმპიური ჩემპიონი 25 ოქტომბერს კვლავ არ გამოცხადდა სასამართლოში. იგი ამჟამად ავსტრიაში ცხოვრობს. სასამართლოში იწვევენ აგრეთვე ალექსანდრეს მეუღლეს გალინას. ორივე ჯერჯერობით თავს არიდებს პროცესს. პროკურორის მოთხოვნით თუ მეუღლეები კვლავ უგულებელყოფენ კანონს, მათზე გამოცხადდება საერთაშორისო ძებნა და აიძულებენ პატივი სცენ სასამართლოს.



### არმსტრონგი „ტურ დე ფრანსის“ მეოთხე მოგებისთვისაა განწყობილი

ცნობილი ამერიკელი ველომრბოლი ლენს არმსტრონგი იმედოვნებს, რომ მეოთხედ მოიგებს „ტურ დე ფრანსს“. განაცხადი ამ პოპულარულ ველოასპარეზობაში მონაწილეობაზე მან უკვე შეიტანა. „ტურ დე ფრანსის“ ისტორიაში (იგი ახლა 89-ედ ჩატარდება) მომავალი ასპარეზობის ტრასა ყველაზე მოკლე იქნება – 3282 კმ.

2002 წლის „ტურ დე ფრანსი“ სტარტს აიღებს ლუქსემბურგში 6 ივლისს 6,5 კმ-ზე რბოლით. შემდეგ გადავა გერმანიაში და დასრულდება საფრანგეთში 28 ივლისს (სულ 20 ეტაპი). წინასწარი მონაცემებით ამ ველორბოლაში 21 გუნდის 189 სპორტსმენი იასპარეზებს.



### კეტი ფრიმენმა ვარჯიში განაახლა

400 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ჩემპიონი კეტი ფრიმენი მომავალი კვირიდან, დასრულებს რა ერთწლიან შესვენებას, ვარჯიშს განაახლებს და მოემზადება ერთა თანამეგობრობის თამაშებისათვის, რომელიც მანჩესტერში ჩატარდება 2002 წელს.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**30 ოქტომბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (22.05), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგა: „ნანტი“ – „ლაციო“ (23.40), მიმოხილვა (2.00), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 21.40). ***მე-9 არხი.*** „მსოფლიო ფეხბურთი“ (14.25), ევროპის სტადიონებზე (20.00), *НТВ*. ჩემპიონთა ლიგა: დღიური (2.15), „ლივერპული“ – „ბორუსია“ (2.55), *EUROSPORT.* ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. (11.30, 17.00, 2.45), „ფორმულა-1“, კულისებს მიღმა (22.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00). ***НТВ плюс футбол.*** რუსეთის ჩემპიონატი. 29-ე ტურის მიმოხილვა (13.15), გერმანიის (16.05), ინგლისის (18.25) ჩემპიონატების მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგა: „ლოკომოტივი“ – „რეალი“ (20.30), სხვა მატჩები (23.40, 1.35). ***НТВ плюс спорт.*** კრივი. პროფესიონალთა ბრძოლები (16:10), ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი (17.60), ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (19.40), ბილიარდის მეფეები (22.30), სამბო. მსოფლიო ჩემპიონატი (0.00).

**31 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (10.05), ფეხბურთი. საქართველოს თასი. მერვედფინალური მატჩი: „ლოკომოტივი“ – „დილა“ (15.00), ***НТВ.*** ჩემპიონთა ლიგა: „ფეიენოორდი“ – „სპარტაკი“ (23.35), „სელტიკი“ – „იუვენტუსი“ (3.25). ***EUROSPORT.*** ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00, 3.15), „ფორმულა-1“. კულისებს მიღმა (16.30, 2.45), მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი (17.00). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: „ლოკომოტივი“ – „რეალი“ (13.15), სხვა მატჩები – (15.55, 18.10, 23.20, 1.35). ინგლისის (15.00), იტალიის (22.15) ჩემპიონატის მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ნბა-ს ჩემპიონატი (4.30, 11.45), სპორტული ტანვარჯიში: მსოფლიო ჩემპიონატი, ვაჟები (16.55), 21.55 – ქალები. ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (19.40), კალათბურთი. ევროლიგა (0.20), ტაილანდური კრივი (2.35)

**1 ნოემბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** საკალათბურთო მიმოხილვა (17.20), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (15.20), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 21.40), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (15.15). ***EUROSPORT.*** მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00, 17.00), ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (19.00, 23.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.30), ფეხბურთი. უეფას თასი (2.15). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: „ფეიენოორდი“ – „სპარტაკი“ (13.15), სხვა მატჩები (15.15, 17.00), მიმოხილვა (19.30). უეფას თასი: მეორე რაუნდი „დინამო“ – „გლაზგო რეინჯერსი“ (20.55), „ბრიუგე“ – ცსკა (23.25), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.35). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ევროლიგა (11.45, 0.00), ტაილანდური კრივის ვარსკვლავები (14.55), ბილიარდის მეფეები (15.30), სამბო. მსოფლიო ჩემპიონატი (16.00), სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი (17.50), ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (22.30).

**ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა და პირადად ამ სკოლის დირექტორი როზა ბერიკაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ მსოფლიო აბსოლუტურ ჩემპიონს ბატუტზე ხტომაში რუსუდან ხოფერიას ბებიის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებენ ამავე ფედერაციის გენერალურ მდივანს, ვეტერან მხედარს ივანე ყურუას მამის**

**რეზო ყურუას**

**გარდაცვალების გამო.**

**გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს ივანე ყურუას მამის გარდაცვალების გამო.**

**ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტული სკოლა და პირადად მისი დირექტორი ელდარ ფარჯანაძე ღრმა სამძიმარს უცხადებს ვეტერან ფალავანს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს გურამ სალარაძეს ბიძის**

**იორამ სალარაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს გურამ სალარაძეს ბიძის გარდაცვალების გამო.**

## კროსვორდი №85



თარაზულად: 1. მასობრივი ინფორმაციის ერთობლიობის დასახელება, 7. ევროპაში ფულის ახალი ერთეული, 8. ინგლისის პრემიერ-ლიგის გუნდი, 9. შედეგი სპორტში, 10. ქალაქი,, სადაც მოსკოვთან ერთად ოლიმპიური თამაშები ჩატარდა, 12. „მანჩესტერ იუნაიტედის“ არგენტინელი ლეგიონერი, 13. უმაღლესი ოსტატობის დამადასტურებელი ხარისხი აღმოსავლეთ ორთაბრძოლებში, 15. პორტუგალიელი ვეტერანი ფეხბურთელი, 17. ცნობილი უცხოელი ვეტერანი მოჭადრაკე მამაკაცი, 18. გადაწოდება ფეხბურთში, კალათბურთში... 20. ერთგვარი ნავი ნიჩბოსანთა ასპარეზობაში, 21. ინგლისელი ფეხბურთელი, 22. გრძელ მანძილზე მორბენალი, 23. აღმოსავლური სამაგიდო თამაში.

შვეულად: 2. პოლონეთის საფეხბ. გუნდი, 3. „მილანის“ და იტალიის ნაკრების ფეხბურთელი — მცველი, 4. ორმაგი წარმატება, 5. ინგლისის პრემიერლიგის გუნდი, 6. ფრანგი ვეტერანი ჩოგბურთელი, 11. ქართველი ოლიმპიელი აფროსნობაში. 14. გერმანიის საფეხბურთო გუნდი, 16. იტალიის საფეხბ. გუნდი, 19. ვალენსიის რუმინელი ლეგიონერი ფეხბურთელი.

### კროსვორდი №84 ● პასუხები:

თარაზულად: 7. შხარა, 8. ვიერი, 9. „ივერია“, 10. პარაშუტი, 13. ესებუა, 14. ელბერი, 18. კანი, 19. მეფე, 20. კალათბურთი, 24. იტო, 26. ჩანგი, 27. „პერუჯა“, 28. „აუსტრია“, 30. ურო, 31. შაში. შვეულად: 1. პაიჭაძე, 2. ფარვა, 3. სხირტლაძე, 4. „ირბი“, 5. თეთრაძე, 6. გელაშვილი, 11. შუბი, 15. ბაკურიანი, 16. „პუმა“, 17. ლეკო, 21. თარჯი, 22. „იაგუარი“, 23. „სტიაუა“, 25. გეტრი, 29. ბა.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, 8 ,| სტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს“ კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.